# ნაკადული

140
2005



# საქართველოს მომავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა









ეს გოგონები, ზღაპრულ ფერიებს რომ გვანან, ა. ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის (დირექტორი ხათუნა კერესელიძე) ქორეოგრაფიული განყოფილების მოსწავლეები არიან და პედაგოგ ირინა ლეჟავას ხელმძღვანელობით ეუფლებიან ბალეტის ხელოვნებას. შეიძლება ყველა მათგანი არ გამოვიდეს პროფესიონალი ბალერინა, მოხდენილ მიხვრა-მოხვრას, ნარნარ სიარულს, თავის ლამაზად დაჭერას კი უთუოდ ყველა ისწავლის და რაც მთავარია, ყველას დაეხვეწება გემოვნება, შეუყვარდება ხელოვნება და ყველა ბალეტის კარგ მაყურებლად გაიზრდება. ქალბატონ ირინას აღსაზრდელებმა არა ერთხელ ისახელეს თავი სხვადასხვა საკონკურსო ჩვენებებსა თუ ფესტივალებზე – მეექვსეკლასელები 2001-2003 წწ. ხელოვნების ფესტივალ „ოქროს მართვეს" და 2003-2004 წწ. „ბრავოს" ლაურეატები და „ოქროს არწივისა" და ოქროს მედლების მფლობელები არიან. წარმატებები აქვთ უმცროსკლასელებსაც. გოგონები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის კულტურულ ღონისძიებებში, კონცერტებსა თუ დათვალიერებებში და ყოველთვის გამოირჩევიან დახვეწილი ქორეოგრაფიული ხელწერით, მათ პედაგოგს, დიდი ვახტანგ ჭაბუკიანის მოწაფეს, ქალბატონ ირინა ლეჟავას პედაგოგიურ შემოქმედებას რომ ახასიათებს.



**თბილისის ლევან ცქიცქიშვილის სახელობის 46-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები**



მარიკა ოსიპოვა, დათო შეყლაშვილი, მარიამ საიდი და სალომე არჩვაძე ძვ. მიქელაძის სახ. სამუსიკო კოლეჯში პედაგოგ ნელი ჯაიანის ხელმძღვანელობით ეუფლებიან საფორტეპიანო ხელოვნებას. ვინ მოთვლის რამდენი ყმაწვილი აზიარა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ქალბატონმა ნელიმ მუსიკის ჯადოსნურ სამყაროს, რამდენს ასწავლა თეთრი და შავი კლავიშების მოთვინიერება, რამდენს შეაყვარა კლასიკური მუსიკა, დაუხვეწა გემოვნება, გადაუშალა ბეთჰოვენის და ჰაიდნის, ჩაიკოვსკის და შოსტაკოვიჩის, შუბერტის და ჰენდელის შემოქმედების განუმეორებელი ხიბლი. ღვაწლმოსილი პედაგოგი დათესილსაც უხვად იმკის, მოწაფეები ამაგს უფასებენ, წარმატებით გამოდიან შიდასასკოლო კონცერტებზე თუ სხვადასხვა კონკურსებში. მარიკაც, დათოც, მარიამიც და სალომეც მათ შორის არიან.

# ნაკადული



# საქართველოს მომავალი









ეს გოგონები, ზღაპრულ ფერიებს რომ გვანან, ა. ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის (დირექტორი ხათუნა კუ-
რესელიძე) ქორეოგრაფიული განყოფილების მოსწავლეები არიან და პედაგოგ ირინა ლეჟავას ხელმძღვანელობით ეუფლებიან
ბალეტის ხელოვნებას. შეიძლება ყველა მათგანი არ გამოვიდეს პროფესიონალი ბალერინა, მოხდენილ მიზერა-მოხერას, ნარნარ
სიარულს, თავის ლამაზად დაჭერას კი უთუოდ ყველა ისწავლის და რაც მთავარია, ყველას დაეხვეწება გემოვნება, შეუყვა-
რდება ხელოვნება და ყველა ბალეტის კარგ მაყურებლად გაიზრდება. ქალბატონ ირინას აღსაზრდელებმა არა ერთხელ ისახე-
ლეს თავი სხვადასხვა საკონკურსო ჩვენებებსა თუ ფესტივალებზე – მეექვსეკლასელები 2001-2003 წწ. ხელოვნების ფესტი-
ვალ „ოქროს მართვეს“ და 2003-2004 წწ. „ბრავოს“ ლაურეატები და „ოქროს არწივისა“ და ოქროს მედლების მფლობელები
არიან. წარმატებები აქვთ უმცროსკლასელებსაც. გოგონები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის კულტურულ ღონისძი-
ებებში, კონცერტებსა თუ დათვალიერებებში და ყოველთვის გამოირჩევიან დახვეწილი ქორეოგრაფიული ხელწერით, მათ პე-
დაგოგს, დიდი ვახტანგ ჭაბუკიანის მოწაფეს, ქალბატონ ირინა ლეჟავას პედაგოგიურ შემოქმედებას რომ ახასიათებს.



თბილისის ლევან ცქიტიშვილის სახელობის 46-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები



მარიკა ოსიპოვა, დათო შეყლაშვილი, მარიამ საიდი და სალომე არჩვაძე ევ. მიქელაძის სახ. სამუსიკო კოლეჯში პედაგოგ ნელი ჯაიანის ხელმძღვანელობით ეუფლებიან საფორტეპიანო ხელოვნებას. ვინ მოთვლის რამდენი ყმაწვილი აზიარა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ქალბატონმა ნელიმ მუსიკის ჯადოსნურ სამყაროს, რამდენს ასწავლა თეთრი და შავი კლავიშების მოთვინიერება, რამდენს შეაყვარა კლასიკური მუსიკა, დაუხვეწა გემოვნება, გადაუშალა ბეთჰოვენის და ჰაიდნის, ჩაიკოვსკის და შოსტაკოვიჩის, შუბერტის და ჰენდელის შემოქმედების განუმეორებელი ხიბლი. ღვაწლმოსილი პედაგოგი დათესილსაც უხვად იმკის, მოწაფეები ამაგს უფასებენ, წარმატებით გამოდიან შიდასასკოლო კონცერტებზე თუ სხვადასხვა კონკურსებში. მარიკაც, დათოც, მარიამიც და სალომეც მათ შორის არიან.

ნაკადული

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2005 წ. №6

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაფუძარზეა ამოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი" ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

46-ე სკოლა ჩემთვის დაუვიწყარი სიზმარია ---------- 3

ვლ. ასლამაზიშვილი – კუნელა (მოთხრობა) ---------- 6

„ოდოუშერი“ ---------- 9, 19

მსოფლიო კიდით კიდემდე ---------- 11

სალომე ჯაფიაშვილი-ერთი თვე გერმანიაში ---------- 14

შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი ---------- 16

პოეზიის მარგალიტები ---------- 18

სიტყვათა უცხოენოვანი ნაწილები ---------- 21

ვიქტორინა „ჭკუის კოლოფებისათვის“ ---------- 22

ტესტი ---------- 25

დღეს ჩვენ გიამბობთ ფულის შესახებ ---------- 26

სიცილის გაკვეთილი ---------- 31

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ.14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 0108
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი"



## პირველი ქართული საბავშვო საიტი ინტერნეტში

შედგა ჯგუფ „სამგორი-94"-ის მიერ გახსნილი პირველი საბავშვო ინტერნეტსაიტის პრეზენტაცია მისამართზე www.kids.ge მსურველებს შეუძლიათ მიიღონ სხვადასხვა რუბრიკის ქვეშ განთავსებული ინფორმაცია. რუბრიკები თავად ბავშვებმა შეარჩიეს, ესაა: ხელოვნება, პოლიტიკური ამბები, სპორტი, კომპიუტერული ცოდნის გაღრმავება.

## ახალქალაქელ მოსწავლეთა შეხვედრა განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობასთან

სასტუმრო „ძველ თბილისში" ახალქალაქის №1 სომხური სკოლის უფროსკლასელები და პედაგოგები შეხვდნენ საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებსა და პარლამენტის წევრებს. შეხვედრაზე იმსჯელეს ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმაზე და მის პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებზე, არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლების თანმხლებ სიძნელეებზე.

## დამთავრდა მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია

შეჯამდა მოსწავლეთა 59-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მუშაობა. კონფერენციაში საქართველოს სკოლების 3600 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. 12 საუკეთესო ნაშრომის ავტორმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯილდო მიიღო. პირველი ხარისხის დიპლომით აღინიშნა 1015, II ხარისხის დიპლომით – 1614 ნაშრომი, 969 ნაშრომის ავტორმა კი საპატიო სიგელი მიიღო.

## საბავშვო მუსიკის ტრადიციული კვირეული

დამთავრდა საბავშვო და მოზარდთა მუსიკის ტრადიციული კვირეული, რომელსაც სათავე 34 წლის წინ დაუდო ჩვენმა სასიქადულო კომპოზიტორმა მერი დავითაშვილმა. კვირეული გაიხსნა კონცერტით „ბავშვები – აფხაზეთს", მერე კი კომპოზიტორთა სახლში გაიმართა კიდევ ერთი კონცერტი, რომელზეც შესრულდა ბოლო ერთ წელიწადში შექმნილი საბავშვო და ნორჩ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. კვირეულის ჩარჩოებში გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული სამუსიკო სკოლების, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის, ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის აღსაზრდელებმა. ბოლო, დამაგვირგვინებელ დღეს კი მსმენელთა წინაშე საქართველოს განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სამუსიკო საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები წარდგნენ.

## ახალი სპორტული მოედანი

ისანი-სამგორის რაიონში, კერძოდ, კახეთის გზატკეცილის №44,46,48,50 საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციონირება განაახლა სპორტულმა მოედანმა. რაიონის ხელმძღვანელების ძალისხმევით ნაგვის ბუდედ ქცეული, გაპარტახებული მოედანი გაიწმინდა, შემოიღობა ბადით, დაიდგა საფეხბურთო კარები, ელექტროგანათების ბოძი, ისე რომ, ამიერიდან უბნის ბავშვებს შეუძლიათ კეთილმოწყობილ სპორტულ მოედანზე ივარჯიშონ და ითამაშონ.

## ნორჩი პიანისტის წარმატება იტალიაში

ამჟამად თბილისში მცხოვრებმა სოხუმელმა მარიამ დოხამინჯიამ იტალიის ქ. ბარლეტაში გამართულ პიანისტთა XV საერთაშორისო კონკურსში ყველაზე უმცროსთა შორის III ადგილი დაიკავა. მარიამი მიწვეულია მოსკოვის პიანისტთა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც შემოდგომაზე გაიმართება რუსეთის დედაქალაქში.

# „46-ე სკოლა ჩემთვის დაუვიწყარი სიზმარია"

თბილისის ლევან ცქიტიშვილის სახელობის 46-ე ქართულ-რუსული საშუალო სკოლა ვერც საუკუნოვანი ისტორიით მოიწონებს თავს (პირველი ზარი აქ 1947 წლის პირველ სექტემბერს დაირეკა), ვერც მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი კონტინგენტით (ორივე სექტორზე 470 მოსწავლეა) და ვერც სანაქებო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (სკოლის შენობა კარგა ხანია ძირეულ რემონტს საჭიროებს). თავმოსაწონებელი აქ სხვა რამ აქვთ და მთავარიც უთუოდ ეს სხვა რამ არის.



ურთიერთპატივისცემაზე აგებული მოსწავლე-მასწავლებლების ურთიერთობა, მასწავლებლების მაღალი პროფესიონალიზმი, მათ მიერ სწავლებისა და აღზრდის პროცესის განუყოფელ კომპონენტებად აღქმა და აქედან გამომდინარე, მუდმივი სწრაფვა ძიებისკენ, სიახლეებისკენ და მათი სასწავლო აღმზრდელობით პროცესში დანერგვისაკენ, — ამ პოსტულატებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა აქ იმთავითვე ატმოსფერო, რომელმაც სკოლის ერთ-ერთ კურსდამთავრებულს ათქმევინა: „46-ე საშუალო სკოლა, მასწავლებლები, ჩემი თანაკლასელები ჩემთვის დაუვიწყარი და ტკბილი სიზმარია, რომელიც ვწუხვარ, არასოდეს აღარ ახდება".

მაინც რა სიზმრის განუმეორებლობის სინანული გაჰყვა სკოლის დამთავრების შემდეგ ამ სიტყვების ავტორს? რა შეიძლებოდა დაუვიწყარ მოგონებად გაყოლებოდა მას თან სკოლიდან?

რომელი ერთით დავიწყოთ? იქნებ მათემატიკის უჩვეულო გაკვეთილებით, როცა ძალდაუტანებლად, თამაშ-თამაშ, ხალისით ეუფლებიან ბავშვები ამ ბევრისთვის ძნელად დასაძლევ საგანს და გატაცებით მოგზაურობენ მასწავლებელთან, ნინო დგებუაძესთან ერთად რიცხვების სამყაროში. უნდა ნახოთ ბავშვების მიერ შეთხზული და ზღაპრის ქარგაზე მორგებული ამოცანებისა და წილადების თავგადასავლები და თავად დარწმუნდებით, რომ მათემატიკის გაკვეთილზე მოწყენილი და პასიური არავინ ზის ხოლმე.

ან იქნებ ფიზიკისა და ასტრონომიის საოცრად საინტერესო გაკვეთილებმა ფიზიკა-ასტრონომიის განახლებულ-აღჭურვილ კაბინეტში, ხშირმა სტუმრობამ აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში და იქაური თანამშრომლების ასევე ხშირმა სტუმრობამ სკოლაში. ცხადია, ზემოთქმულის ავტორიც გაიზიარებდა იმ დიდ სიხარულს, ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" კონკურსში გამარჯვებამ რომ მოჰგვარა სკოლის მოსწავლე-მასწავლებლებს. ორი წლის წინ გამარჯვებულმა პროექტმა (პროექტის დირექტორი — თინა ფათერაკაშვილი, ავტორი თამარ ხუჭუა), სკოლას 2000 დოლარიანი მიზნობრივი გრანტი მოუტანა, გრანტმა კი — განახლებული, თანამედროვე თვალსაჩინოებით, ხელსაწყოებითა და ლიტერატურით აღჭურვილი ფიზიკა-ასტრონომიის კაბინეტი, ხოლო ყოველივე ამის შედეგად კიდევ უფრო გაცხოველდა ინტერესი ფიზიკისა და ასტრონომიისადმი, ყოველთვის რომ გამოარჩევდა აქაურ მოსწავლეებს. ამ ინტერესს მუდამ ასაზრდოებდა და ახლაც ასაზრდოებს ამ საგნების სწავლების საინტერესო ტრადიციები, მეგობრობა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლებთან, უშუალოდ ბატონ ევგენი ხარაძესთან, მონაწილეობა საგნობრივ კონკურსებსა და ოლიმპიადებში, და კიდევ ისეთი საინტერესო ღონისძიებები, როგორიც თუნდაც რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ასტრალური სიმბოლიკისა და კოსმიური სამყაროსადმი მიძღვნილი თეატრური საღამო იყო, რომელიც უკვდავი პოემის ახალი კუთხით დანახვას ისახავდა მიზნად და თინათინ ფათერაკაშვილის მიერ აბასთუმნის ობსერვატორიიდან ჩამოტანილ და პლანეტარიუმის ძველი მოწყობილობით და ნანა ზარატიშვილის (კომპიუტერული უზრუნველყოფა) შექმნილი შედეგად ჩამოყალიბებულ კომპაქტდისკის მასალაზე იყო აგებული.

ამ სიზმრის ნაწილი უთუოდ ქიმიის ღია გაკვეთილებიც იქნებოდა (მასწავლებელი მანანა დარჩია), რომლებიც სწავლების ინტერაქტიური მეთოდების მოსწავლეთა ფონზე მიმდინარეობდა. მანანა მასწავლებელი ხომ ყოველთვის ისეთ თემებს არჩევს ამ გაკვეთილებისთვის რომ მთელი კლასი ძალდაუტანებლად ებმება ხოლმე გამართულ მსჯელობაში. ასევე საინტერესო და რაც მთავარია, აქტუალურია მოსწავლეთა მიერ მომზადებული პროექტების თემებიც: „სუფთა ჰაერი — ჩვენი უფლება, ჰაერის დაცვა — ჩვენი მოვალეობა", „წყალო, შენ არა მარტო აუცილებელი ხარ სიცოცხლისათვის, შენ თვითონ ხარ სიცოცხლე" და სხვა. გამორჩეული ხალისით მოჰკიდეს ხელი მოსწავლეებმა ატომის აღნაგობის შესწავლისას შეთავაზებული ჯგუფურ პროექტს თემაზე: „ატომი და მოლეკულა უხილავი, არნახული, ჩემი ყურით მოსმენილი, ჩემი თვალით დანახული" და ძალიან საინტერესო ნაშრომიც გამოუვიდათ.

კიდევ ერთი, რაც მარტო სიზმრის განუმეორებლობით გულდაწყვეტილ ორმოცდამეექვსესკოლელს არ გახსენდება სიამოვნებით, სასკოლო გაზეთი „მთიები" იქნება. გაზეთის პირველი ნომერი 1999



წლის აპრილში დაიბადა. „დიდხანს ვფიქრობდით, რა დაგვერქმია ჩვენი გაზეთისთვის. რა არ ვთქვით, მაგრამ ბოლოს ყველას „მთიები" ვამჯობინეთ. „მთიები არის ცისკრის ვარსკვლავი. მთიები ითქმის განმანათლებლად. ვინა მანათობლად", — გვეუბნება საბა. ე.ი. „მთიები" ყოფილა ის კაშკაშა ვარსკვლავი, რომელიც მზის ამო-

23692

სულამდე ამოდის და რომლისკენაც ეგზომი თავგამეტებით ისწრაფვის ტოროლა", — პირველი ნომრის მთავარი წერილის ამ მონაკვეთში ჩატიეს რედკოლეგიის წევრებმა გაზეთის მიზანი, დანიშნულება და



მიმართულება. იმავე ნომერში „მთიებს" გზა მაშინ სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჩხაიძემ დაულოცა: „დარწმუნებული ვარ, რომ გაზეთი სულ მალე მასწავლებლისა და მოსწავლის ნამდვილი მეგობარი გახდება. თქვენ მიერ შექმნილი ახალი სამყარო გაუდვილებს საქმიანობას ყველას, ვინც ჩვენს სკოლასთანაა დაკავშირებული..." „მთიები" მართლაც იქცა მოსწავლეების და მასწავლებლების მეგობრად, ისევე როგორც თითოეული მათგანის მეგობარი გახდა თავად ამ სიტყვების ავტორი. ექვსი წელია უძღვება სკოლას ბატონი არჩილი, რომელმაც მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის გრძელი და საინტერესო გზა გამოიარა და ამ გზაზე ყოველთვის ერთი უმთავრესი ჭეშმარიტებით ხელმძღვანელობდა — სწავლება და აღზრდა ერთი მთლიანი პროცესის ორი განუყოფელი ნაწილია. ამავე პრინციპის ერთგულია არჩილ ჩხაიძე დღესაც და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმასაც ამ პრინციპიდან გამომდინარე აფასებს: „რეფორმის განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაშია თვითონ ქვეყანა, ცხადია, პრობლემები რეფორმის განხორციელებაზე ზეგავლენას ახდენს. აუცილებელია მეტი ყურადღების გამოჩენა სკოლების და საერთოდ განათლების სისტემის მიმართ. თუ სკოლისადმი საზოგადოების დამოკიდებულება არ გაჯანსაღდება, სკოლას ძალიან გაუჭირდება. ჩვენი მიზანია ბავშვს გაუჩნდეს სწავლის ინტერესი, მაგრამ ამავე დროს მას უნდა ჰქონდეს ცოდნის გამოყენების გარანტიაც... მთავარია თუ როგორ ადამიანებს, როგორ მოქალაქეებს გავუზრდით სამშობლოს. თითოეული ბავშვი უნდა ხედავდეს, რომ ის საჭიროა ქვეყნისათვის, საზოგადოებისათვის, ჩვენთვის ხომ თითოეული მათგანი განუმეორებელი და შეუცვლელია ამქვეყნად..."

მაგრამ მიუბრუნდეთ ისევ „მთიებს". გაზეთი კვლავაც რეგულარულად გამოდის და მის ფურცლებზე კვლავაც რეგულარულად შუქდება სკოლის ცხოვრება, მისი ავ-კარგი, წარმოჩინდება მოსწავლეთა შემოქმედება, მათი მიღწევები სხვადასხვა სფეროში. „მთიებს" შეილობილიც გაუჩნდა — სკოლის შემოქმედებითი სალონის გაზეთი „უფლისწულები", მოგვიანებით კი დაიწყო „მთიების" გერმანული ვარიანტის გამოშვება. სამივე გაზეთი მოსწავლეთა ძალებით მზადდება სკოლის კომპიუტერულ ცენტრში უფროსკლასელი გოგონები კრეფენ მასალებს, დაკაბადონებაზე კი ძირითადად ბიჭები მუშაობენ.

როგორც წესი, სასკოლო გაზეთების ფურცლებზე აისახება ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება თუ მოვლენა სკოლის ცხოვრებაში. ასე იყო, როდესაც სკოლის მოსწავლე-მასწავლებლები საქველმოქმედო მისიით ჩავიდნენ სოფელ გომში და საკუთარი ძალებით შეგროვილი ტანსაცმელი, პროდუქტები და სასწავლო ნივთები




ჩაუტანეს ბეჟანიშვილების ოჯახს; როცა სკოლაში ქრისტიანობის 2000, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 და ქართული სამოციქულო ეკლესიის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა, რომელშიც უფროსკლასელებთან ერთად უმცროსკლასელებმაც მიიღეს მონაწილეობა; როცა აკაკი წერეთლის 160 წლისთავის საიუბილეო საღამო-ღია გაკვეთილი ჩატარდა; როცა სკოლაში შეხვედრა მოუწყვეს ანა კალანდაძეს; როცა სტუმრად მოიწვიეს მუხრან მაჭავარიანი; როცა გაიმართა საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავისადმი მიძღვნილი სასწავლო-მეცნიერული კონფერენცია, რომელშიც ორივე სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა, როცა შედგა სკოლის საფეხბურთო ტურნირი; როცა მორიგ კურსდამთავრებულებს აცილებენ და მორიგ პირველკლასელებს იღებენ... ტრადიციული სიტყვით უძღვნენ გაზეთის ფურცლებზე მოსწავლე-მასწავლებლებმა სკოლის კურსდამთავრებულს, საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ ლევან ცქიტიშვილს სწორედ ამ გმირი ჭაბუკის, ვიცე-პოლკოვნიკ ლევან ცქიტიშვილის სახელს ატარებს 46-ე სკოლა. აქ, ამ უბანში, გაიზარდა ლევანი, აქ ჰქონდა სამყარო, აქ სკოლა დაამთავრა, აქ დავაჟკაცდა და ჭეშმარიტი მამულიშვილი დადგა, მერე კი გმირულად დაიღუპა. მშობლიურ სკოლაში ამაყობენ მისი სახელით და ყოველი წლის 29 ნოემბერს, მის დაბადების დღეს გულისტკივილითა და მადლიერებით, მომავლის რწმენით, სიმღერებითა და ლექსებით მიაგებენ პატივს ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი მამულიშვილის ხსოვნას...

სკოლაში არც ძველ, ჯანსაღ და სასარგებლო ტრადიციებს ღალატობენ და ახლებსაც თამამად ამკვიდრებენ. ამ უკანასკნელებს განეკუთვნება კერძოდ, ყოველწლიურად გამორჩეული უფროსკლასელი მოსწავლისთვის სტიპენდიის დანიშვნა და თუმცა სტიპენდია არც ისე დიდი — თვეში 15 ლარია, მთავარი მისი სახით გამოხატული წახალისება და დაფასებაა და ამიტომაც ეამაყებათ სტიპენდიატებს ეს ჯილდო. კიდევ ერთი ახალი ტრადიციაა მოსწავლეთა დარბაზის მოღვაწეობა, რომლის წევრებსაც, ცხადია, გონივრულის საზღვრებში, საქმიანობაში სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული. მაგალითად, წლევანდელი გამოსაშვები საღამოს გაძღოლა, რომელიც თავდაპირველი ჩანაფიქრით, მოწვეულ რეჟისორებს უნდა წარემართათ, დარბაზმა მთლიანად თავის თავზე აიღო და სანაქებოდაც გაართვა თავი ნაკისრ ვალდებულებას.

46-ე სკოლაში ერთმანეთის გვერდით იღწვიან უფროსი, საშუალო და სულ ახალგაზრდა თაობის მასწავლებლები. ყველანი ერთად კი იმ თავით ამ თავამდე ნებისმიერი ქვეყნის აწმყოსა და მომავლისათვის ყველაზე საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან საქმეს — ბავშვების აღზრდა-განათლებას ემსახურებიან და იმედი აქვთ, რომ მათი აღზრდილები საზოგადოების ღირსეული წევრები დადგებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასამახსოვრებელი სახელები

## გიორგი ხუსკივაძე



აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ექსკურსიის დროს ნანახით მიღებული აღტაცება სულ მალე გაცნობიერებულ ინტერესში გადაიზარდა, გიორგი ობსერვატორიის ხშირი სტუმარი გახდა და, რომ იტყვიან, ასტრონომიით „დაავადდა". დღეს თბილისის 46-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელ გიორგი ხუსკივაძეს ობსერვატორიაში თავის კოლეგად აღიქვამენ და ყველანაირად უწყობენ ხელს მომავალში მეცნიერ-ასტრონომად რომ ჩამოყალიბდეს. იგი თითქმის ყოველ ზაფხულს ჩადის აბასთუმანში და იქაური მეცნიერ-თანამშრომლების ხელმძღვანელობით ეცნობა სხვადასხვა ხელსაწყოებს, ეუფლება ასტრონომიული დაკვირვების მეთოდებს. ობსერვატორიის მზის სამსახურის განყოფილებაში ჩატარებული დაკვირვებები დაედო საფუძვლად ნიჭიერი ყმაწვილის ნაშრომებს „მზის სისტემა — სამყაროს მეცხრე ელემენტი", „მზის ლაქები", „მზის ქარი", რომლებიც მან შესაბამისად 56-ე, 57-ე, 58-ე რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებზე წარადგინა. ზემოხსენებული ნაშრომი საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლისა და განათლების სამინისტროს I და II ხარისხის დიპლომებით და სიგელებით აღინიშნა, ხოლო წლევანდელ კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომისათვის „ფოტოსფერული ლაქები" კონფერენციის ასტრონომიის სექციის რეკომენდაციით, გიორგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. გარდა ამისა, გიორგის მიერ დამსახურებულ ჯილდოებს შორის ასტრონომიის საქალაქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებსა თუ კონკურსებში გამარჯვების დამადასტურებელი სხვა სიგელ-დიპლომებიც მრავლად არის. გიორგი აქტიურად მონაწილეობს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ასტრონომიის კაბინეტის საქმიანობაში, იქნება ეს თეორიული კონფერენციები, კონკურსები თუ შეხვედრები გამოჩენილ მეცნიერებთან.

ობსერვატორიაში გიორგი, როგორც ვთქვით, ზაფხულობით სტუმრობს ხოლმე, დანარჩენ დროს კი სპეციალური ლიტერატურის კითხვით და ინტერნეტის „ჩხრეკით" ამდიდრებს თავისთავ ცოდნას ასტრონომიაში. კომპიუტერთან ურთიერთობაში ინგლისური ენის საფუძვლიანი ცოდნა და ოთხი პროგრამის ფლობა უწყობს ხელს.

ნიჭიერი, შრომისმოყვარე, განათლებული და გონიერი ყმაწვილის ბუნებრივ მიდრეკილებებს, რომლებსაც საფუძველი აქვთ ოჯახში დაუდეს მის პიროვნების ჩამოყალიბებას. მისი უნარ-ჩვევების განვითარების და თვითსრულყოფისკენ სწრაფვის ჩაუყარეს, რომ იგი საქმიანი ასტრონომის წარმატებისა და ხელმძღვანელის და ამჟამინდელ წარმატებებს პრეზიდენტის სტიპენდიის მიღებას ... რას წლის განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიისა და გრანტის მიმნიჭებელ კომისიაში წარსადგენ რეკომენდაციაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ე. ხარაძის სახელობის ნაციონალური ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი რ. კილაძე — გიორგი ხუსკივაძის მიერ მოსწავლეთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები საკმაოდ მაღალი დონისაა და ეძღვნება ისეთ საინტერესო საკითხებს, როგორიცაა მზე, მზის სისტემა, მზის ქარი და სხვა. საკონკურსო თემების დამუშავებისას მას გამოყენებული აქვს საკუთარი დაკვირვებითი მასალა, მიღებული ე. ხარაძის სახელობის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში. 2003 წელს შესრულებული სამუშაო „მზის სისტემა – სამყაროს მეცხრე ელემენტი" რეფერატული ხასიათისაა, ხოლო 2004 და 2005 წელს შესრულებული სამუშაოები „მზე და მზის ქარი" და „ფოტოსფერული ლაქები" პრაქტიკული სამუშაოებია, რომელთა რეცენზირება აბასთუმნის ობსერვატორიის თანამშრომელთა მიერ იქნა განხორციელებული. გიორგი ხუსკივაძე არის შრომისმოყვარე, კომუნიკაბელური ახალგაზრდა. მას გააჩნია კარგი უნარ-ჩვევები".

ენახოთ, დრო გამოაჩენს მართლები არიან თუ არა ისინი, ვინც დიდ იმედებს ამყარებს გიორგიზე და ვისაც სჯერა, რომ მისი სახით საზოგადოებას ნათელი პიროვნება, ასტრონომიის ცარგს კი სერიოზული, მოაზროვნე მეცნიერი შეემატება.

---

## ძმები გოგიჩაიშვილები

46-ე სკოლაში ყველა იცნობს ძმებს გოგიჩაიშვილებს, ერთად მომავალს რომ დაინახავენ, უფროსები ერთმანეთს გადაულაპარაკებენ დედის გულის ყვავილები მოდიანო.

ნიკა და თენგო გოგიჩაიშვილები ნიჭიერი ბავშვები არიან. ნიკა IV კლასის მოსწავლეა, თენგო კი VI კლასის. ორივე წარჩინებით სწავლობს. ერთგვარად სიმბოლურია, რომ ორივენი აღდგომის დღეს არიან დაბადებულები — ნიკა 1995 წლის 23 აპრილს, თენგო — 1993 წლის 18 აპრილს.

ძმები 2002 წლის სექტემბრიდან ცეკვავენ ანსამბლში „შვარდენი" (ქორეოგრაფი თ. ჩხაიძე), თანაც შესანიშნავად ცეკვავენ.

მიმდინარე სასწავლო წელს ბიჭებმა ანსამბლთან ერთად მონაწილეობა მიიღეს თურქეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში, თელავში გამართულ ქორეოგრაფიული ანსამბლების ფესტივალ — კონკურსში და I ხარისხის დიპლომი და ლაურეატის წოდება დაიმსახურეს.

ძმებს ბევრი სხვა გატაცება-ინტერესიც აქვთ.

თენგო მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში ავიამოდელირების წრეში დადის და თვითმფრინავების მოდელებს აკეთებს. მომავალში იგი ავიაკონსტრუქტორობას აპირებს. უფროს ძმას ძალიან უყვარს კითხვა და ბევრს კითხულობს, განსაკუთრებით ისტორიული ჟანრის რომანები მოსწონს.



ნიკა კი თავისუფალ დროს უფრო ხშირად ხატავს, უყვარს კომპიუტერული თამაშები. აქვს არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა, არის კომუნიკაბელური. გარდა მშობლიური ქართულისა, ძმები რუსულ და ინგლისურ ენებსაც კარგად ფლობენ. ორივენი აქტიურად და ხალისიანად მონაწილეობენ სასკოლო ღონისძიებებში და მოწონებასაც იმსახურებენ.

**გიორგი ხვანიძე, დიანა გოგიჩაიშვილი, ნინო მარგველანი**

თბილისის 46-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა დარბაზის წევრები



# კუწლა

## მოთხრობა

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

მხატვარი
ედუარდ ამბოკაძე

წინა დღესთან შედარებით თბილოდა. ამინდის ეს ცვლილება თოვლის ფიფქებსაც ეტყობოდათ: მსხვილი, ერთმანეთს შეზრდილი თეთრი პეპლებივით ირეოდნენ ჰაერში და ფარფატით ცვიოდნენ ნისლით გაჯერებული ციდან. რასაც დაეცემოდა ფიფქი, უმალ ზედვე აღნებოდა, ასველებდა. წვიმანაპკურებს ჰგავდა ქალაქი. თოვლი აღნებოდა ნისლში თავშერგულ მაღალ შენობათა კედლებს. მოასფალტებულ ქუჩაში ჭუჭყიანი, გამდნარი თოვლის ნაკადულები მიედინებოდა; საბურავების შიგნით სწრაფად მოძრავი ავტომანქანები წყალს შადრევნებივით აშხეფებდნენ და უარესად იწუწებოდა ისედაც სველი ტროტუარები, მათ გაყოლებაზე გაკეთებული გაზონები.

თოვლის სველი ფიფქები ზედ დასდიოდა ნახშირივით შავ პატარა ძაღლს, სასურსათო მაღაზიის წინ, ქვის კიბეებიდან მარჯვნივ, სარდაფის სარკმელთან რომ იწვა. უმინო სარკმელს შიგნიდან ჟანგიანი, მტვერმოკიდებული მავთულის ბადე ჰქონდა აკრული და სარდაფიდან, სადაც გათბობის მილები იყო გაყვანილი, თბილი ჰაერი ამოდიოდა.

ძაღლს მაინც სციოდა. საცრის კრიკალივით მოხრილს ფეხები და კუდი ბალნით შეთხელებულ მუცელზე მოეფარებინა, ბოხჩასავით დამრგვალებულს დრუნჩი ლაჯქვეშ ამოედო და მთელი სხეულით ძაგძაგებდა.

უკვე მერამდენე დღე იყო, სარდაფის სარკმელთან დაედო ბინა. ღამე იქ უთენდებოდა და დღე იქ ულამდებოდა. განსაკუთრებით ღამე წუხდა, როცა ზამთრის სუსხი უმოწყალოდ იწყებდა კბენას. სარდაფიდან ამონადენი სითბო რომ არა, ადამიანების სიახლოვეს მიჩვეულ, შინ გაზრდილ ძაღლს გარეთ რა გააძლებინებდა? თუ ფეხზე წამოდგებოდა, ისიც იმიტომ, რომ სიცივით დახუთული კუნთები აემოძრავებინა, ბეწვზე დაყრილი თოვლი და დამდნარი წუწი შეებერტყა, ან იქვე ასფალტზე დამდგარი გუბიდან ყინულივით ცივი წყალი ამოესლაპა, რამე შეესანსლა, რომ მშიერი კუჭი რითიმე ამოევსო.

საჭმლის საშოვნელად შორს არ უხდებოდა წანწალი. დღისით მის სიახლოვეს ადამიანები მიდი-მოდიოდნენ. მაღაზიიდან გამოსულები გუმანით ხვდებოდნენ პატარა ძაღლის უმწეობას, მზრუნველი პატრონი იმისთანა ამინდში გარეთ ცის ამარა არ მიატოვებდა. სისველისაგან და ჭუჭყისაგან მთლად გასაცოდავებული, სიბრალულს იწვევდა. ზოგი რას იმეტებდა მისთვის, ზოგი — რას. მის სიახლოვეს უხვად იყო გაფანტული პური, კანფეტი, ძეხვის მონაციცქნი, ფუნთუშის თუ ორცხობილას ნამტვრევები. იქვე ადამიანებიც ჩერდებოდნენ. ბევრი მათგანი თავისთან ეძახდა, რომ თან გაჰყოლოდა; ის კი ყურადღებას არავის აქცევდა. ერთ წამს ლაჯიდან დრუნჩს გამოყოფდა, თვალს შეავლებდა ვინმეს, და ისევ დრუნჩს მალავდა, თავის ძაღლურ ფიქრებს განაგრძობდა.

პირველ დღეს სარდაფის სარკმელთან რომ დაიდო ბინა და მოიკეცა, ვიღაც ფაშფაშა დედაკაცი გადაეკიდა. რა საალერსო სიტყვები არ ეძახა. დაუგურგურა, ჩანთიდან სოსისი ამოიღო და ცხვირთან მიუტანა, ძაღლმა ზედაც არ დახედა, არც ფაშფაშა ქალის ალერსიანი ლაპარაკისთვის დაუგდია ყური. მარტო თავაწეული უნდობლად შეჰყურებდა თავშალში ჩათბუნულ უცხო დედაკაცს და ელოდა, როდის მოსცილდებოდა, როდის შეწყვეტდა მომაბეზრებელ ქაქანს. ის კი თავისას არ იშლიდა. გათამამდა კიდეც. ეგონა, ძაღლის გული მოვინადირეო, სანოვაგით სავსე ჩანთა ძირს დადგა და მისი ხელში აყვანა მოინდომა.

ძაღლი მიუხვდა საწადელს. სწრაფად წამოიწია, უკანა თათებზე დაჯდა, სარდაფის სარკმლის ბადეს ზურგით აეკრა, ნემსებივით წვეტიანი კბილები გამოაჩინა.

დედაკაცი მაინც არ მოეშვა, მისი ღრენა არაფრად ჩააგდო. წინ გაწვდილი ხელები წაატანა.

აივსო მოთმინების ფიალა. ძაღლმა ბრაზნარევი ხმით შეჰყეფა ქალს. თითებთან ბასრი კბილები გაუწკაპუნა.

— უი! — იკივლა ფაშფაშამ, ეწყინა, ეს რა მაკადრაო და რაც უშვერი, სალანძღავი სიტყვები იცოდა, არ დაუშურებია, მოხსნა პირი:

— უყურეთ ამ მაიმუნს. ძაღლს მაინც გავდეს ეს უბედური, მე ამისთვის სიკეთე მინდა, ვიფიქრე, წავიყვან სახლში, გავათბობ, ვაჭმევ, ვასმევ და ვუპატრონებ, რომ გარეთ ამ ყიამათში სული არ გასძვრეს-მეთქი. ამ უმადურმა კი სამაგიეროდ კბენა მომინდომა. გაგიხმა და დაგიმიწდა ეგ კბილები, მოუკვდი შენს პატრონს! მალე მენახე ემანდვე ფეხებგაფშეკილი და კბილებდაკრეჭილი, გეტყობა, რა სატანაც ხარ. კარგი რომ ყოფილიყავი, გარეთ არ ეგდებოდი. უმადურო, სოსისი რად მოგეცი, რაზე დავაოხრე. შავი ქვა და სიკვდილი უნდა მომერთმივნა შენთვის.

ფაშფაშამ წყევლით გული რომ მოიოხა, სინანულით დახედა ძირს დაგდებულ სოსისს, ჩანთა აიღო, ძაღლს ერთხელ კიდევ თვალი შეავლო მწყრალად და ბურტყუნ-ბურტყუნით ტროტუარზე გაბაჯბაჯდა.

ფაშფაშა დედაკაცის შემდეგ, იმავე დღეს, საღამოთი, თავშიშველა, გაბურძგნულთმებიანმა ჩაწანწალამ მოიწადინა ძაღლის დასაკუთრება. მთვრალი იყო, წვერგაუპარსავი; ჯერ შორიახლოს ათვალიერა ძაღლი. მერე რაღაც გადაწყვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტილებით, ჰუჰყანი, გაქრილი პალტო გადაილულა და ჩაფართხუნებული წვირიანი შარვლიდან ტყავის ძველი, ნაჯართსაცვარი ქამარი შემოიხსნა. ქამრის წვერი ბალთაში გაუყარა, გამოულუა, რომ ძაღლისთვის თავზე წამოეცმია.

ძაღლის მაზოლ მზერას არ გამოპარვია მაწანწალა უცხო კაცის არც ერთი მოძრაობა. მის ხელში გამოყულულული ქამარი რომ შენიშნა, აღლოთი მიხვდა, რასაც მოასწავებდა ის. პატრონს ზოგჯერ საყელოიანი ჯაჭვით დაჰყავდა, რათა ჯაჭვზე გამობმულს ველარ ერბინა თავი ნებაზე. ნურას უკაცრავად, თუ მაწანწალაც დაბმას მოუნდომებდა, მახისთვის თავი დროზე რომ დაეღწია, წამოხტა ფეხზე და მისკენ წამოსულ ხელებგამოშვერილ მაწანწალას გვერდზე გაექცა. ტროტუარის ნიგანეზე გადაირბინა და რკინის რიკულებით შემოზღუდულ გაზონში იხკუპა.

მაწანწალამ შეიგინა. სწრაფად შებრუნდა ზურგისკენ და მძიმე ფეხსაცმლების ბრაგუნით ძაღლს გამოუდგა. თვითონაც სცადა რკინის რიკულებზე გადახტომა, არ გამოუვიდა ნახტომი, რიკულს ფეხი წამოსდო და თავდაყირა გაზონში გადაეშვა. მიწიდან ამოშვერილ სარწყავ მილს თავით მიასკდა, შუბლი დაისისხლიანა, დარეტიანებული ერთხანს ატალახებულ მიწაზე პირქვე ეგდო. გონს რომ მოეგო და წამოიწია, გაზონის იქით, ქუჩის პირას ყვითელი ავტომანქანა გაჩერდა.

ავტომანქანიდან ორი პოლიციელი გადმოვიდა, ძაღლზე მონადირე მაწანწალას ხელი მოჰკიდა, მანქანაში ჩასვეს და გამოსაფხიზლებელში მიაბრძანეს.

გვიან ღამით, როცა ქუჩაში ადამიანთა მოძრაობა მიწყდა, სველი, სიცივისგან კუდამოძუებული შავი ძაღლი სასურსათო მაღაზიასთან დაბრუნდა, სარდაფის სარკმელთან მოიკეცა, ცხვირი ლაჯში დამალა და თვალები დახუჭა.

იმ დღის მერე უცხო ადამიანების მიმართ მთლად უნდო, მფრთხალი გახდა. აღარც მიგდებულ საჭმელს ჰკიდებდა პირს. შიმშილის მოსაკლავად მაღაზიის უკან გამუნძულდებოდა, იქ სანაგვე ბუნკერი ჰქონდა დაგულებული და კბილის გასაკრავს შოულობდა. მაგრამ ვაი, ამისთანა საჭმლის შოვნას. უპატრონო ძაღლებს, კატებსა და ვირთხებს, ერთმანეთს რომ პირიდან სტაცებდნენ სასუსნავს, არაფერი რჩებოდათ შეუჭმელი. პირწმინდად ანადგურებდნენ ნაგავთან ერთად ბუნკერში ჩამოყრილ ძვლებს, პურის ნატეხებს...

პირველად შიმშილით გადალაწლაწებული ბუნკერთან რომ მივიდა, იმ დღეს ლამის მთლად უჭმელი დარჩა. ნაგავს მაზზე ძლიერი, ხმოსვით დიდრონი ძაღლები დასტრიალებდნენ. მაგარი ყბებით ტკვრავდნენ ძვლებს. ხელმოუკიდებლად ნთქავდნენ, დაუღეჭავად რის გადაყლაპვაც მოესწრო და ბრაზიანად იღრინებოდნენ. დაესიენენ კიდეც ალმასით ბასრი ეშვებით ერთმანეთს წასწვდნენ. ფერო სუსტები, რომელთაც ქიდი მოხვდათ, წკავწკავით ბუნკერიდან გაეცლნენ. იმათი მაყურებელი შავი ძაღლი ნაგავთან მისვლას როგორ გაბედავდა, იწვა ბუნკერიდან შორს და მოთმინებით უცდიდა, როდის დამთავრდებოდნენ სხვები ჭამას.

შეუსანსლავი რომ არაფერი დარჩათ, ძაღლებმა მიატოვეს ბუნკერი და წავიდწამოვიდნენ. იმანაც უმალ მოირბინა ნაგავთან, მაგრამ რას იპოვიდა, ძვალსა და პურს ვინ ჩივის, კონსერვისა თუ რძის ქილები ისე იყო გასუფთავებული, შიგ ერთი წვეთი გამოსალოკიც არ დატოვებინათ.

ზოგჯერ ბედი გაუღიმებდა. იმ დროს მაღლიდან ვიღაც ნაგავს ჩამოჰყრიდა და კბილის გასაკრავი რამე ჩამოჰყვებოდა. შავ ძაღლს უნდა ემარჯვნა, თორემ ბუნკრის დათხრილი კედლებიდან უკვე მოძვრებოდნენ ვირთხები და კატები. კატები ზედაც არ უყურებდნენ ვირთხებს. ან ვერ ერეოდნენ ან სხვა სასუნსავით ისე იყვნენ გულასუყებულები, თავებს არ კადრულობდნენ. ვირთხებიც უშიშრად დაძვრებოდნენ კატების გვერდით და ისე იყვნენ გათავხედებულები, პირიდან საჭმელს სტაცებდნენ და ხვრელში მიარბენინებდნენ.

არც შავ ძაღლს მორიდებიან. ცხვირწინ ქათმის ძვალი აიცალა ერთმა ვირთხამ და გვერდით გაიტანა. მეორემაც მოიწადინა ცხიმიანი პურის ნატეხის წართმევა, მაგრამ ძვირად დაუჯდა სითამამე. ძვლის დაკარგვით გაბოროტებულმა სტაცა ვირთხას კისერში პირი და ააწრიპინა. ვირთხები დაფრთხნენ, წამში ყველა ხვრელში მიიმალა.

შავი ძაღლი პირს არ უშვებდა დაჭერილს. უჭერდა და უჭერდა ყბებს, კბილებით კისრის მალები ვადაუმტვრია. როცა მსხვერპლი უღონოდ ჩამოეკიდა დრუნჩზე, პირი მაშინ გაუშვა. ამ ამბის მერე ვერც ერთი ვირთხა ვერ ბედავდა მის სიახლოვეს გაკარებას. კატებს ხომ შორს ეჭირათ თავი.

ბუნკერში დანაყრების შემდეგ, შავი ძაღლი მიდიოდა სახლების სარქველთან. წყალი იქ თვალებს ხუჭავდა და მის ძაღლურ ცნობიერებაში ცოცხლდებოდა თბილი სახლები მემოგონებები, კეთილი ქალი. ძაღლის ბავშვობა ბაღში ბიჭი ამ ეზოში ცხოვრობდა. ძაღლს უყვარდა ბიჭი და ძაღლს ერთმანეთი. თითქმის ყოველდღე თამაშობდნენ. ზოგჯერ შინ მიყავდა თამაშში სხვა ბავშვებიც ჩაერთვებოდნენ. ბიჭს ნაირ-ნაირი ოინები ისწავლა. ცირკის ძაღლივით წვრთნიდა. აწვდიდა ორ ფეხზე დგომა და ხტუნვა, ყეფა, გადაგდებული საგნების მოტანა. მაღაზიაში წასვლისას ბიჭს ძაღლიც აუცილებლად მიჰყვებოდა, მასაც მიჰქონდა საყიდლები. ერთხელ კისერზე საყვარელი ჯაჭვი გამოაბა. ჯერ ფეხით ატარა, მერე — ჩრდილებისთ. გაიყვანეს ქალაქგარეთ. იქ შავ ძაღლს მრავალი სხვადასხვა ჯიშისა და ფერის ძაღლი დახვდა. ბევრიც აიყვანდნენ ადამიანები. თურმე ძაღლების გამოფენა ტარდებოდა. ბიჭი და მისი ძაღლიც ჩადგნენ რიგში. ბიჭმა შავი ძაღლი გაატარ-გამოატარა, აახტუნავა, ააყეფა კიდეც. ვიღაც ჩხერიამაღლით გამხდარმა მოხუცმა კაცმა ყურადღებით ათვალიერა, მოწონებით აკანტურა თავი და შავ ძაღლს ყელზე ყვითელი ბრჭყვიალებული მედალი დაჰკიდა. ბიჭი გახარებული იყო. შინ რომ დაბრუნდნენ, ლა-



დიან-პატარიანად გარეთ გამოიშალნენ, ბიჭს გამარჯვებას ულოცავდნენ, ძაღლს აქებდნენ, ეალერსებოდნენ, ნუგბარ სასუსნავს სთავაზობდნენ.

ბიჭი სკოლაში სწავლობდა. დილით წიგნების ჩანთას ზურგზე მოიკიდებდა და მიდიოდა. ძაღლს აკრძალული ჰქონდა გაყოლა. ისიც მორჩილად ჭიშკართან ჩერდებოდა, დაყუნცდებოდა და ყურებდაცქვეტილი გზას გასცქეროდა, ვიდრე ბიჭი ქუჩის მოსახვევს არ მოეფარებოდა.

დილიდანვე ცარიელდებოდა ეზო. ბიჭთან ერთად სადღაც მიიჩქაროდნენ სხვებიც. დიდები და პატარები. თითოოროლა მოხუცილა რჩებოდა აივნიან სახლებში. ისინი ან არ გამოდიოდნენ შინიდან გარეთ, ან აივანზე დადგმულ სკამს თუ სავარძელში მოკალათებულები უაზროდ, ნახევრად მთვლემარენი გადმოსცქეროდნენ ეზოს. იშვიათად თუ გაეძრახებოდა შავ ძაღლს ვინმე. ისიც მარტოობით გაბეზრებული, რომ დაიღლებოდა ეზოში ტანტალით, შეძვრებოდა თავის ხულაში და იძინებდა. იცოდა, რა დროს უნდა დაბრუნებულიყო ბიჭი სკოლიდან, ილვიძებდა და ჭიშკრისკენ გარბოდა, მოუთმენლად ელოდა პატრონის გამოჩენას. დაინახავდა და მხიარული ყეფით მიეშურებოდა მისკენ. ახტებოდა ზედ, ებლანდებოდა ფეხებში. ბიჭსაც უხაროდა მასთან შეხვედრა. სახეგაბადრული და ბედნიერი ძაღლს ეფერებოდა, დაავლებდა ორივე ხელს და ეზოში ისე შედიოდნენ...

ერთ ბურუსიან დილას სარდაფის სარკმელთან მიწოლილს ვიღაც ბეწვისქუდიანი კაცი წაადგა.



— შენ კუნელა არ ხარ? — გაკვირვებით თქვა იმ კაცმა და პალტოს კალთები, სველ ასფალტზე რომ არ მოსვროდა, მუხლებზემოთ აიკვალთა, ძაღლთან ახლოს ჩაცუცქდა, გალიმებულმა მარჯვენა ხელი მისკენ გაიწოდა, ძაღლმა თავისი სახელი რომ გაიგონა, ყურები ცქვიტა, კაცს დაკვირვებით შეხედა, მის თვალებში ნაცნობი სახე აირეკლა. იცნო, იმ ეზოდან იყო, სადაც მისი პატრონი ცხოვრობდა.

— ეს რა მოგსვლია, რას დამსგავსებიხარ, შე საცოდავო! — კაცმა ძაღლს ყურები მოუქექა, სიბრალულით თავი გაიქნ-გამოიქნია.

კუნელას მოფერება ეამა, კუდი გააქიცინა, ყურები გალურსა, ძირს გაწვა, აწკმუტუნდა.

— თქვენი ძაღლია? — მოისმა ხმა. ძაღლთან ჩაცუცქებულ ბეწვისქუდიანს გვერდით ვიღაც ქოლგიანი კაცი დაუდგა. ბეწვისქუდიანს არც აუხედავს მისთვის, ისე უპასუხა:

— არა, ჩემი არ არის!

— ახლოს რომ მიგიშვათ? იმ დღეს ვუყურე, აქ ერთ ქალს კინაღამ ხელზე უკბინა, წარმოგიდგენია? გამიგონია, ძაღლი ქალსა და მთვრალს არ ერჩისო. არც მე გამიკარა ახლოს, დამიღრინა! — გაოცებით ლაპარაკობდა ქოლგიანი კაცი.

— ვიცნობთ ერთმანეთს, კუნელა ჩვენი ეზოს ძაღლია!

— მართლა? მაპატიეთ, რომ ამდენ კითხვებს გაძლევთ. ცხოველები მიყვარს და მაინტერესებს, მერე აქ რა უნდა, ამ სიცივეში, სახლიდან გამოგდებული ხომ არ არის?

— არა! — ბეწვისქუდიანი ფეხზე ადგა, ახლაღა შეხედა ქოლგიანს, — ძაღლი არავის გამოუგდია, თვითონ წამოვიდა, ამის პატრონი ბიჭი ახლაც ეძებს!

— რა მოხდა? ბიჭსა და ძაღლს შორის შავმა კატამ გაირბინა?

— კუნელას და ყმაწვილს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, მაგრამ მოხდა უსიამოვნო ამბავი: ერთ დღეს ბიჭი სკოლიდან გაჯავრებული მოვიდა, ძაღლი ჩვეულებრივ ჭიშკართან მიეგება, მიელაქუცა, იმან კი...

— ზედ არ მიხედა? — წამოიძახა ქოლგიანმა და მოუთმენელი ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა მოსაუბრეს, უნდოდა, რაც შეიძლება ჩქარა გაეგო ამბავი;

— უფრო მეტიც, იმან კი წიხლით სცემა!



— მიზეზი? მიზეზიც [illegible] მეგობარო!

— დაწვრილებით არ ვიცი. ბიჭი ნამტირალევი იყო, ნაცემი, თვალი ჩალურჯებული ჰქონდა!

— გასაგებია, გასაგები! სხვების ჯავრი ძაღლზე იყარა. სწორედ მაგაზე იტყვიან: ცხენს ვერაფერი დააკლო, უნაგირს წაუშინაო.

— დიახ, ჯავრი იყარა. ეხლა გაწყრა, ეზო მიატოვა. წავიდა და წავიდა. დაიკარგა. ბიჭი მიხვდა თავის შეცდომას. იმავე დღეს დაუწყო ძებნა. წუხდა, ტიროდა. ჩვენც შევწუხდით — მეზობლები. ჩვენც ვეძებდით კუნელას, ორი კვირა გავიდა. ამის ასავალ-დასავალი ვერ გავიგეთ. აგერ დღეს წავაწყდი შემთხვევით!

— საცოდავი, უსამართლობის მსხვერპლი, მეგონა, მარტო ადამიანებს შეეძლო დიდი წყენა... ახლა რას ფიქრობთ, წაუყვანთ იმ ბიჭს კუნელას?

— წავუყვან, თუ გამომყვა! — თქვა ბეწვისქუდიანმა. დაიხარა, ძაღლს სველ თავზე ხელი გადაუსვა, — კუნელ, შენ არ იცი, რა ძალიან ნანობს კოტე. რატომ ვცემეო, რატომ გავუწყრიო. რცხვენია, როცა შენზე გველაპარაკება, ეტირება, თვალები ცრემლებით ევსება. დადის მოწყენილი, სადაც შენი ფერის ძაღლს დაინახავს, იქით გარბის, შენა ჰგონიხარ. ადექი, გამომყევი, მე მიგგვრი, კოტეს, კარგი?

ბეწვისქუდიანი წელში გასწორდა. ძაღლს რამდენიმე ნაბიჯით მოსცილდა, მუხლზე ხელი დაიტყაპუნა, მოდიო, მოდიო, დაუძახა.

ძაღლი ფეხზე წამოიმართა. ოღონდ ადგილიდან არ დაძრულა, მარტო კუდს აქიცინებდა. რამდენიმე წამს იდგა ფეხზე, მერე ისევ სარკმელთან დაწვა, თავი თათებზე დადო.

— არ მოგდევთ, ტყუილად ცდილობთ მაგის დაყოლიებას. ჯობია იმ ბიჭს შეატყობინოთ. პატრონი მაინც სხვაა. იქნებ იმას გამოჰყვეს, თორემ ცოდვაა ამისთანა გონიერი ძაღლის უპატრონოდ მიტოვება! — თქვა ქოლგიანმა და წავიდა.

ბეწვისქუდიანიც დარწმუნდა, რომ ძაღლს ვერანაირად ვერ დაიყოლიებდა. იმედი მთლად რომ გადაეწურა, ტროტუართან განაპირდა, ტაქსს დაუწყო ლოდინი.

ცივმა ქარმა დაუბერა. შავად მოღრუშული ციდან წამოსული ფიფქები აიყოლია, არივ-დარია. ამინდი მკაცრდებოდა.

ქარმა კუნელაც მონახა. თოვლის ფიფქი ზედ გადააყარა. იმან ერთ წამს თავი წამოსწია, ჰაერი დაყნოსა და დრუნჩი ლაჯქვეშ დამალა, უფრო მოიკუნტა, უფრო დაპატარავდა, თვალებდახუჭულს ტიალი, ძაღლური სევდა მიეძალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის №2 გიმნაზიის IV² კლასის მოსწავლეთა შემოქმედებას (პედაგოგი დეა გვალია)

## ბებია

რევაზ ინანიშვილის ბებია მარიამი ჩემი ბებიაა, იმ განსხვავებით, რომ იგი ქალაქში ცხოვრობს, სოფლის ეზოს სანაცვლოდ, ქალაქის პატარა, მყუდრო ეზოს გვის გაზაფხულობით. საქმეს რა გამოულევს, ფუსფუსებს, ფუსფუსებს ფუტკარივით, მიუხედავად იმისა, რომ ასაკი საპატიო აქვს – 89 წლისაა, ხუმრობა ხომ არ გგონიათ? დაიღლება, დაჯდება (ზურგის ტკივილს უჩივის), მეც მივალ, ავუვლი და ჩამოვუვლი წლებისგან დამძიმებულ ხერხემალს, ის კი მლოცავს: – ჯანი მოგცეს შვილო, ჩემი ასაკი უკან მოიტოვეო!

ასეა ყოველდღე – იფუსფუსებს, დაიღლება და შემოგჩივლებს, არა, ხვალ აღარაფერს გავეკარები, ხელს არ ვახლებ, ამდენი სად შემიძლია ხალხოო! გაგიგონიათ? ხვალ, ყველაფერი ავიწყდება, ეს მურაბა უნდა მოვადუღო, ეს ჩამისქელდა, უნდა გადავადუღოო. ეს ლეიბის პირი აღარ ვარგა, ახალი უნდა გამოვჭრაო, მიუჯდება თავის „ზინგერს" აახმიანებს, ძაფი ჩაუმთავრდება და დამიძახებს ერთი შენებურად მარდად ამიგეო, განა თვითონ ვერ ააგებს, უნდა მეც შემიამხანაგოს.

მაინც როგორ გვანან ეს ბებია მარიამები ერთმანეთს, ვკითხულობ და ასე მგონია ჩემი ბებია უნახავს მწერალს, დაჰკვირვებია, უსწავლია რა და როგორ, მერე დაუწერია, აი, წაიკითხეთ და გაიცანით, ეს ელენიკოს ბებიაა – მარიამი, იცნობდეთ და მოიკითხავდეთო.

არ იტყვით მაინც, რატომ ელენესი და არა ნინოსი ან თამუნასი? რა ვქნა, ჩემს ბებია მარიამსაც თავთან უდგას სხვადასხვანაირი წამლები, თეფშზე კოვზი და გაჭრილი ვაშლი, კიდევ ასანთის კოლოფი (ღამით შუქი რომ ჩაქრეს, ხომ უნდა მივიდეს „დანიშნულების ადგილს?").

ახლა საწოლი? მისნაირი პატარა და კოხტა, თეთრი და ქათქათა. ბალიში, საბან-ლეიბი აფუებული და გამზეურებული (რაც იმათ საბერტყი ჯოხი მოხვედრიათ აივანზე).

ზამთრის გრძელი ღამეები უჭირს ბებია მარიამს, – თუ გავათენებდი აღარ მეგონა, შვილებოო. კი არ ვწუწუნებ, ღმერთის მადლობელი ვარ ყველაფერი რომ მანახა, მაგრამ რა ვქნა, უფრო მეტი მინდა, შვილიშვილის შვილს მოვესწარი, ახლა მისი შვილი მინდაო.

ღმერთმა უსმინოს ბებია მარიამს, აცქერინოს შვილთაშვილებზე და იმათ შვილებზე, ჩვენ კი მასზე და ვიყოთ ასე სანამ არ მოგვწყინდება.

**ელენე ბერიძე**

---

* * *

თითქოს ცა მოიღრუბლა,
თითქოს ცა მოიღუშა,
თითქოს ცა იღრუბლება,
თითქოს ცა იღუშება,
იმიტომ რომ თბილისში
წვიმა მოწკაპუნდება.

**თამუნა ცერცვაძე**

## დელფინა

დაღლილი ბებია სოფიო ბუხრის წინ იჯდა და თვლემდა. უცებ ნაცნობმა ხმამ გამოაღვიძა:

– მუუ...

სოფიომ თვალებს არ დაუჯერა – ძროხა დელფინა სავარძელში მოკალათებულიყო, უკანა ფეხი ფეხზე გადაედო, წინა ფეხის ჩლიქში კი სიგარეტი გაერჭო და ნებივრად აბოლებდა.

– უიმე, დელფინა, შენ აქ რა გინდა?! – შეეცხადა სოფიომ.

– რა მინდა და მოშივდა, სოფიკო, გენაცვალე!

– გავიქცევი და თივას მოგიტან, – დაბნეული ბორტყუნებდა სოფიო.

– თივა შენს ქმარს, ზაქროს აჭამე. ყოველდღე ამდენ რძეს გაძლევ. წადი და ერთ პაკეტი „პარმალატის" რძე მომიტანე ნუგზარას მაღაზიიდან, ნუ გეზარება.

მოხუცმა შალი მოიხვია, კარი გამოაღო, რაღაცას ფეხი წამოჰკრა და გაიშხლართა. თვალები გააჭყიტა... ბუხარში შეშა ტკაცუნობდა, ეზოდან მშიერი დელფინას ხმა ისმოდა – „მუუ".

– ღმერთო, რა არ დაგესიზმრება ხანდახან?! – გაიფიქრა სოფიომ და თივის დასაყრელად გაეშურა დელფინასთან.

**ნინო ბახილაძე.**

---

## ყვავილების გაბაასება

ერთ პატარა მწვანედ შემოსილ ტყეში იყო ერთი პატარა მინდორი. იქაურობა სულ ყვავილებით იყო გადაპენტილი. იმ მდელოზე მრავალი ყვავილი ხარობდა: ყოჩივარდა, გვირილა, ია, ყაყაჩო და სხვა მრავალი. ია ეუბნება ყაყაჩოს: – რამე ვითამაშოთ?

– არა, მეძინება.

– არ გინდა, გვირილავ, ვითამაშოთ?

– მე ვმღერი და არ მცალია სათამაშოდ.

– შენ, შენ მაინც არ გცალია? ძალიან გთხოვ, უარი არ მითხრა ყოჩივარდავ?

– სამწუხაროდ, უარი უნდა გითხრა.

– რატომ?

– სამეცადინო მაქვს.

– რა?

– ქართული, მათემატიკა, ბუნება, გერმანული, რუსული.

– ქართულს ვინ გასწავლის?

– დეა მასწავლებელი.

– მათემატიკას?

– ეკა.

– ბუნებას?

– ნინო.

– გერმანულს?

– თამუნა.

– რუსულს?

– ნონა.

– შეიძლება, რომ მეც ვისწავლო შენს სკოლაში?

– რა თქმა უნდა, შეიძლება.

– რა ჰქვია შენს სკოლას?

– „ყვავილების მე-2 გიმნაზია".

ძალიან კარგი სახელი აქვს. ჰოდა, მოდი შენც შემომიერთდი და ერთად ვიმეცადინოთ?

– კარგი, ყოჩივარდავ!

**ნინო ბიძაშვილი**

# ზოგი რამ პარლამენტის შესახებ

პარლამენტი — (ინგლისურად parliament. ფრანგულად parlament-parler ლაპარაკი) — საკანონმდებლო ფუნქციის მქონე უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, სხვადასხვა სახელწოდებების მქონე საკანონმდებლო კრება.

ბევრ სახელმწიფოში (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია) წარმომადგენლობით საკანონმდებლო ორგანოს ასეც ჰქვია — „პარლამენტი", რიგ ქვეყნებში კი მას სხვა სახელწოდება აქვს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთ ორგანოს ეწოდება კონგრესი, შვედეთში — რიქსდაგი, თურქეთში — მეჯლისი, ესპანეთში — კორტესები, ისრაელში — ქნესეტი, ნორვეგიაში — სტორტინგი, რუსეთში — დუმა, ნიდერლანდებში — გენერალური შტატები, მონღოლეთში — ხურალი, ისლანდიაში — ალტინგი.

ერთპალატიანი პარლამენტია ანდორაში, მალტის რესპუბლიკაში, სან-მარინოში, ბირმაში, ფინეთში, ბაჰრეინში, ჰაიტის რესპუბლიკაში, გვატემალაში, ჰონდურასში, კოსტა-რიკაში, პანამაში, მადაგასკარში და სხვა.

სულ პირველად პარლამენტი შეიქმნა XIII საუკუნეში ინგლისში, როგორც წოდებრივი წარმომადგენლობითი ორგანო.

ფედერალურ წესწყობილებაზე დაფუძნებული სახელმწიფოთა უმრავლესობასა და ზოგიერთ უნიტარულ სახელმწიფოშიც პარლამენტი ორი პალატისგან შედგება. ფორმალურად ორივე პალატას თანაბარი უფლებები აქვს. სინამდვილეში კი მეორეს ხშირად პირველზე მეტი უფლებები ენიჭება.

ინგლისში პირველ პალატას ეწოდება თემთა პალატა, მეორეს — ლორდთა პალატა, რომელიც იმავდროულად ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ინსტანციაცაა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველ პალატას ეწოდება წარმომადგენელთა პალატა, მეორეს — სენატი. ავსტრიაში პირველს — ეროვნული საბჭო, მეორეს — ფედერალური საბჭო; ბელგიაში შესაბამისად — წარმომადგენელთა პალატა და სენატი; იტალიაში — დეპუტატთა პალატა და სენატი; გერმანიაში — ბუნდესტაგი და ბუნდესრათი.

პალატა ( ლათინური — palazium — სასახლე) წარმომადგენლობითი ორგანოს ან მისი ცალკეული ნაწილის სახელწოდებაა.

პარლამენტის ფუნქციაა კანონების გამოცემა, სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება, საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირება და სხვა. ზოგ სახელმწიფოში (იტალია, გერმანია) პარლამენტის ფუნქციებს პრეზიდენტის არჩევაც ემატება.

პარლამენტთაშორისი კავშირი — საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 70-ზე მეტი ქვეყნის პარლამენტთა წარმომადგენელ ეროვნულ საპარლამენტო ჯგუფებს, დაარსდა 1889 წელს იმ მიზნით, რათა პარლამენტების გავლენით დამკვიდრებული საერთაშორისო არბიტრაჟის გამოყენება სახელმწიფოთაშორის დავის გადასაწყვეტად. კავშირის მიზანია წაახალისოს პარლამენტის წევრთა პირადი კონტაქტები და ერთობლივი საქმიანობა მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის. პარლამენტთაშორისი კავშირის უმაღლესი ორგანოა პარლამენტთაშორისი კონფერენცია.

უმრავლეს ქვეყნებში პარლამენტის სესიები მთელ წელს გრძელდება, დეპუტატები იღებენ ხელფასებს, ესე იგი, ითვლებიან პროფესიონალ პარლამენტარებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიო კიდით კიდემდე

## შვედეთი

### პეპი აცეკვდა

შვედეთის დედაქალაქის ოპერისა და ბალეტის სცენაზე დაიდგა ბალეტი „პეპიგრძელიწინდა“. შესანიშნავი შვედი მწერლის ასტრიდ ლინდგრენის ეს ნაწარმოები მსოფლიოს 70 ენაზეა თარგმნილი, მისი მიხედვით რამდენიმე ფილმი გადაიღეს, „პეპი“ დრამატული თეატრის სცენაზეც კარგა ხანია ამეტყველდა, დაიწერა ოპერაც, რამდენიმე სიმღერაც და აი ახლა, მსოფლიოს უამრავი ბავშვის საყვარელი ახტაჯანა გოგონა აცეკვდა კიდეც.

## ჩინეთი

### დიდი მოაზროვნისადმი მიძღვნილი დღესასწაული

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 29 წლიდან მოყოლებული, ჩინეთში ყოველწლიურად იმართება დიდი მოაზროვნის, კონფუცის დაბადების დღის აღსანიშნავი ზეიმი. მთელ ქვეყანაში კონფუცის ტაძრებში ტარდება სადღესასწაულო ცერემონიალი, ტაივანის კუნძულზე კი მასწავლებლის (ასე უხმობენ ჩინელები კონფუცის) დღესაც აღნიშნავენ. ცერემონიაში, როგორც წესი, ბავშვებიც მონაწილეობენ, მათ აცვიათ კონფუცის ეპოქის ტანსაცმელი, თავზე კი ისეთი ტრადიციული ქუდები ახურავთ, როგორც მის მოწაფეებს ეხურათ ხოლმე.

## ინგლისი

### ესკიმო ნარკოზის ნაცვლად

გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ ბევრ ბავშვს შპრიცისა უფრო ეშინია, ვიდრე სკალპელისა, ხოლო ყველა პატარას ერთნაირად უყვარს ნაყინი, ინგლისელმა ექიმმა დ. პროსლერმა განსაკუთრებული ნაყინის რეცეპტი შეიმუშავა. საზრიანი ექიმის პატარა პაციენტები ორჯერ-სამჯერ ალოკავენ საუცხოო გემოს ნარკოტიკულ ნაყინს და ყოველგვარი ჩირვეულობის გარეშე წვებიან საოპერაციო მაგიდაზე. ნაყინნაგემ პაციენტს ღრმა ძილი ეუფლება და ქირურგიც უპრობლემოდ იწყებს ოპერაციას. პროსლერის ესკიმო იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ მას ახლა უკვე ქვეყნის თითქმის ყველა საავადმყოფოში ხმარობენ.

## რუსეთი

### ჯიბის ფული

თურმე 7-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების 70 პროცენტზე მეტი რეგულარულად ღებულობს ჯიბის ფულს: უმცროსკლასელები — კვირაში საშუალოდ 15-20 რუბლს, 10-12 წლის გოგო-ბიჭები — 20-30 რუბლს, მოზარდები კი — 35-40 რუბლს. საბოლოო ჯამში მოსკოველი ბავშვები „ნაყინისთვის“ დაახლოებით 35-40 მილიონ დოლარს ღებულობენ (თითოეულ საშუალოდ 50-60 დოლარს წელიწადში).

ჯიბის ფულით საყიდლების დამოუკიდებლად ყიდვას ბავშვი საშუალო სასკოლო ასაკში იწყებს. ეს ძირითადად სხვადასხვა ტკბილეულისა და სათამაშოების ე.წ. იმპულსური ყიდვაა. ბავშვების 30 პროცენტი საკუთარ ჯიბის ფულს საღეჭ რეზინზე ხარჯავს, 27 პროცენტი ტკბილეულს ყიდულობს, 19 პროცენტი — ნაყინს, 11 პროცენტი — სათამაშოებსა და თამაშებს, ხოლო 10 პროცენტი ჯიბის ფულს ყულაბაში ყრის.

## აშშ

### ბავშვების მკურნალი პონი

13 წლის პონი პეტის სახით (პეტი შოტლანდიური პონის და ჯუჯა ცხენის ნაჯვარია) ოჰაიოს შტატის ქალაქ აკრონის ბავშვთა საავადმყოფოს ექიმებს ერთგული დამხმარე გამოუჩნდათ. ჩამოივლის პეტი საავადმყოფოს პალატებს, თავს ლოგინზე ჩამოუდებს პატარა პაციენტს და დიდი კეთილი თვალებით მიაჩერდება, მის დანახვაზე ყველაზე სევდიანი ავადმყოფებიც კი ხალისდებიან და იღიმებიან. საავადმყოფოში შეშვებამდე პეტის სამჯერ ბანენ და მადეზინფიცირებელ საშუალებასაც ასხურებენ.

პატარა ავადმყოფების შემოვლის შემდეგ მკურნალი პონი საჯინიბოში ბრუნდება.





# მომავალი ჟურნალისტის სკოლა

# მოვუაროთ მშობლიურ ენას

**ინტერვიუ ქართული ენის სახელმწიფო პალატის ხელმძღვანელთან, ბატონ ლევან ღვინჯილიასთან.**

**ინტერვიუ (ინგლისური interviw) — პუბლიცისტიკის ჟანრი, ჟურნალისტის საუბარი ერთ ან რამდენიმე პირთან საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამა თუ იმ აქტუალურ საკითხებზე.**

**— რას გრძნობთ, როცა დარბაისლური ქართულით საუბრობთ?**

— მე არ ვიცი, რამდენად დარბაისლურია ის ენა, რომელზეც მე ვსაუბრობ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ვცდილობ, ენა არ დავამახინჯო. როგორც დიდი ილია ამბობს, ჩვენი ენა არის ღვთაებრივი საუნჯე და მას სათუთად უნდა მოვეპყროთ. დანარჩენი უნდა განსაზღვროს სხვამ.

**— როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ჩვენი ლამაზი ენის დამახინჯება?**

— ენის დამახინჯებას, უპირველეს ყოვლისა, იწვევს მის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულება. ენა რომ არ დამახინჯდეს, საამისოდ საჭიროა მასზე ყოველდღიური ზრუნვა. რაკი ჩვენ ენას დედაენას ვეძახით, მას დედასავით უნდა მოვუფრთხილდეთ და პატივი ვცეთ. როგორც ცუდად გაზრდილმა შვილმა შეიძლება დედას გული ატკინოს, ასევე ცუდად მოქართულე აზიანებს ენას. ენა ყოველდღე უნდა ვისწავლოთ, ყოველდღე უნდა ვზრუნავდეთ ჩვენი მეტყველების დახვეწაზე. მხედველობაში მაქვს როგორც ზეპირი მეტყველება, ასევე წერითი.

**— რას გვირჩევდით, როგორ ვისწავლოთ ნამდვილი ქართული ენა?**

— ,,ნამდვილი ქართული ენა" რთულად განსამარტავი ტერმინია. ნამდვილი ის ენაა, რომელზეც ხალხი მეტყველებს ბუნებრივ არეალში და ბუნებრივ ვითარებაში, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ნამდვილი ენაა დიალექტი. ასეთი ქართულში ორ ათეულამდეა. ესენია: ქართლური, კახური, ფშავური, ხევსურული, თუშური, მთიულური, მესხური, ჯავახური, იმერული, გურული, აჭარული და სხვა... ზოგი მათგანი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთაა გავრცელებული მაგალითად ინგილოური. ძველად საინგილო საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ან კიდევ ფერეიდნული, რომელიც ირანშია დაცული და ამ დიალექტზე მეტყველებენ შაჰ-აბასის მიერ კახეთიდან აყრილი ქართველების დღევანდელი შთამომავლები. სამ საუკუნეზე მეტია, რაც ისინი დედასამშობლოს მოწყვიტეს, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი ნამდვილი ქართულით საუბრობენ, მათი გასპარსე-



ლება არ მოხდა. აი, რა ძალა აქვს ენას. ყველა ამ დიალექტზე მოსაუბრე ქართველების საერთო-სამეტყველო ენას ქართულ სალიტერატურო ენას უწოდებენ. მისი საფუძველია ქართლ-კახური დიალექტი. სალიტერატურო ენაზე იქმნება ქართული მწერლობა იაკობ ცურტაველიდან მოყოლებული, დღემდე და ამ ენის დასაუფლებლად ყველაზე უკეთესი გზა არის ქართული ლიტერატურის კითხვა.

**—ჩვენ რა შეგვიძლია გავაკეთოთ ქართული ენის შესანარჩუნებლად?**

—თქვენ შეგიძლიათ თქვენი თავი წარმოიდგინოთ ჯარისკაცებად, რომლებიც დადგებიან არა მხოლოდ დედაენის საზღვრების სადარაჯოზე, არამედ შეებრძოლებიან ენის დამახინჯებას ენობრივი ტერიტორიების შიგნით. დღეს საქართველოში ენობრივი ტერიტორიები უფრო მეტი გვაქვს დაკარგული, ვიდრე გეოგრაფიული. ენობრივ ტერიტორიებში ვგულისხმობთ იმ გეოგრაფიულ არეალს, სადაც ქართული უნდა იყოს გავრცელებული. ზოგი ასეთი ტერიტორია დღესაც საქართველოს შემადგენლობაში შედის, მაგრამ რადგან ამ ტერიტორიაზე ქართულად აღარ ლაპარაკობენ, მე მათ ვუწოდებ დაკარგულ ენობრივ ტერიტორიებს, რომლებიც ისევე უნდა დავიბრუნოთ, როგორც აფხაზეთი და სამაჩაბლო. ჩვენ რომ ქართული ენა დაგვეცვა აფხაზეთში, აფხაზეთი დღესაც დაკარგული არ იქნებოდა. ჯერჯერობით ასევე დაკარგული ტერიტორიაა საქართველოში არსებული თითქმის ყველა კომპიუტერული და მობილური ტელეფონის ეკრანი, საიდანაც ჩვენ უცხო ენაზე გველეპარაკებიან. ყველა ქართველ ბავშვს უნდა მიეცეს საშუალება კომპიუტერს თავის მშობლიურ ენაზე ელაპარაკოს. ეს ჩვენი საზრუნავია, ,,ჩვენში" ვგულისხმობ ჩემს თავსაც, როგორც სახელმწიფო მოხელეს და როგორც მამას.

ენის სახელმწიფო პალატაში შეიქმნა ვინდოუსის ქართული ვერსია და თუ სახელმწიფოს მეთაური მოინდომებს, თქვენ, ქართველ ბავშვებს, და საქართველოს სხვაენოვან პატარა მოქალაქეებს გექნებათ შესაძლებლობა ამ ჭკვიან მანქანებს საქართველოს სახელმწიფო ენაზე ესაუბროთ.

ინტერვიუ
ბატონ ლევან ღვინჯილიასთან
ჩაიწერა სკოლა-კომპლექს
,,სადუნის" IV კლასის მოსწავლემ
**მარი კობიაშვილმა.**

# რატომ ვამბობთ ასე?

**აირია მონასტერი** — ძველად მონასტერში ცხოვრების მკაცრი წესი იყო დამკვიდრებული. ბერებმა იცოდნენ, უპირველესი წესი გულისხმობდა უმცროსის სიტყვაშეუბრუნებელ მორჩილებას უფროსისადმი. თუ ხსენებული წესი დაირღვეოდა, მონასტრის ცხოვრებაც აირეოდა. ასე, რომ „აირია მონასტერი" ნიშნავს, ერთხელვე შემოღებული წესრიგის დარღვევას და უგულებელყოფას..

**ამილახვრიანში გადასწვდება** — ერთ გლეხს სოფელ მოხისში ოსაროთი თევზის ჭერა განუზრახავს. წყალში მარგილები ჩაუყრია, ზედ ხე დაუდვია და მარგილების თავებზე მიუმაგრებია. მერე მარგილებისათვის ფიჩხი, ძეძვი, ღორღი და მიწა მიუყრია, ისე რომ შიგ წყალი არ გასულიყო და განგებ დატოვებული ვიწრო სადინელით ედინა. მარგილების თავზე გადებული ხე ცოტა გრძელი გამოსულა და ამილახვრიანთ მამულში გადაცდენილა. მამულის პატრონს ეს რომ გაუგია, მისულა, რაც თევზი მოჰყოლია ოსაროს ქვევით მიმაგრებულ ბადეში, სულ წაურთმევია გლეხისთვის და ოსაროზე გადებული ხეც წაულებინებია, შეშად გამოდგებაო. მას შემდეგ, როცა ვინმე აუწონ-დაუწონავად, წინდაუხედავად აკეთებს რამეს — ისე, რომ ზარალი, წაგება თუ მარცხი გარდაუვალია, იტყვიან: ამილახვარიანში გადასწვდებაო.

**ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო** — მეფე თეიმურაზ მეორეს ერთი ორჭოფული მოლაპარაკე, ენამახვილი ბერი ჰყოლია დაახლოებული, სახელად მანასე. ამ მანასე ბერთან საუბრისას, თეიმურაზ მეფე თავადაც ხუმარა და მოლექსე, თურმე, ხშირად მიულექსავდა ხოლმე მას: ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!

არსებობს ამ გამოთქმის განმარტების მეორე ვერსიაც. მეფე გიორგი XIII-ს მოურავად ჰყოლია ვინმე მანასე, ხუმრობის დიდი მოყვარული. ერთხელაც მანასე სადილზე შესწრებია მეფესა და მის სახლობას. მეფეს უკითხავს: რაო, ჩემო მანასე, ახალს რას იტყვიო? მანასეს რაღაც მოუხსენებია, მეფეს მისი ნათქვამი არ მოსწონებია, მაშინ მოურავს სიტყვა გადაუსხვაფერებია, მეფეს გასცინებია და უბრძანებია, ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!

გამოთქმა იხმარება, როცა უნდათ ხაზი გაუსვან მთქმელის მიერ უკვე უარყოფილს.

**ავანანთ ხევში ხომ არა ხარ?!** — თბილისის სამხრეთით, ოქროყანიდან ჩამოდის ხევი, რომელიც შემდეგში დავითაშვილის ქუჩას დაჰყვება. ამ ხევს ადრე ავანანთ ხევს ეძახდნენ. ხევის სათავეში მოსახლეობა ერთიმეორეს დაშორებული იყო და ამიტომ აქაურები ერთმანეთს ყვირილით აგონებდნენ. დღეს, როცა უნდათ ხმამაღლა მოლაპარაკეს აგრძნობინონ, ყვირილი საჭირო არ არისო, ეუბნებიან, რა იყო, ავანანთ ხევში ხომ არა ხარო.

**ათადან-ბაბადან** — ათ — თურქულად მამას ნიშნავს, ბაბა — პაპას, ე.ი. როცა ვამბობთ, ათადან-ბაბადანო. ვგულისხმობთ უხსოვარი დროიდან, მამა-პაპითვეო.

# სიტყვის კონა



**სამაშნავი** — სამთავრავი, აყალოთი, თიხა მიწით დაგლესილი ქვევრის თავზე დასაყრელი ფხვიერი მიწა, ქვიშა ან სილა.

**მაჭახელა** — ძველებური გრძელლულიანი თოფი. ამ თოფებს აკეთებდნენ ქვემო აჭარაში, სოფელ მაჭახელში, ამიტომაც დაერქვა ეს სახელი.

**ქალიჩი** — მოცელილი, მოთიბული ბალახი, რომელიც სათიბში ზოლ-ზოლად დევს, რათა გამოშრეს და გახმეს.

**საკვალთი** — კართ ასაყარჩამოსაყარი, შპინგალეტი.

**დველში** — ნაცრიანი ნაკვერჩხალი.

**ზღურბლი** — ამყოლების შემაერთებელი, კარის ჩარჩოს ქვედა ნაწილი.

**სამხვერლო** — ამყოლების შემაერთებელი, კარის ჩარჩოს ზედა ნაწილი, ზღურბლის მოპირდაპირე.

**სამჭედური** — დიდი ანკესი.

# ერთი თვე გერმანიაში: განცდები, შთაბეჭდილებები

გერმანული ენის მცოდნე მოსწავლეთა საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულთა შორის საქართველოდან მხოლოდ სამნი აღმოვჩნდით: მე, ჩემი კლასელი თამუნა ხურცილავა და მაშინ ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი — გიორგი ხუციშვილი. ჯილდოდ დაწესებული იყო მოგზაურობა გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში ზაფხულის ერთი თვის განმავლობაში.

აი, რას გვწერდნენ პროგრამის ორგანიზატორები, ანუ გერმანიის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები: „ძვირფასო მეგობრებო, კულტურის სამინისტრო მოხარულია, რომ თქვენი მიღწევებით გერმანულ ენაში ჩვენი დაწესებული ჯილდო დაიმსახურეთ და გერმანიაში ერთთვიან პროგრამაში მონაწილეობის უფლება გეძლევათ. ამ საერთაშორისო პროგრამის სახელწოდებაა: „გავიცნოთ ერთმანეთი“ და ის თხუთმეტი წელია არსებობს. მასში მონაწილეობას მიიღებს ოთხმოცდაათი ეროვნების პრიზიორი. ჩვენი მიზანია დასავლური და აღმოსავლური კულტურების დიალოგი და მთელი მსოფლიოს ახალგაზრდების ერთმანეთთან დაახლოება. ჩვენ ყველასგან ველით რელიგიურ და კულტურულ შემწყნარებლობასა და ურთიერთგაგებას. ასევე ვიმედოვნებთ, რომ თქვენ აქტიურ მონაწილეობას მიიღებთ პროგრამაში. გვინდა გაგაფრთხილოთ, რომ თქვენს ვიზიტს არ ექნება დასვენებისა და გართობის სახე. ის ითვალისწინებს წინასწარ განსაზღვრულ კულტურულ მოგზაურობას, ორი კვირის განმავლობაში შესაძლებლობა მოგეცემათ ინტერნაციონალურ ჯგუფთან და ექსკურსიამძღოლთან ერთად დაბინავდეთ ბონის, ბერლინის და მიუნხენის სასტუმროებში. ასევე დაათვალიეროთ ქალაქები: კიოლნი, დიუსელდორფი, მიუნსთერი. დანარჩენი ორი კვირის მანძილზე იცხოვრებთ თქვენი თანატოლი გერმანელი მოსწავლის ოჯახში და მასთან ერთად ივლით სკოლაში. თქვენთვის, ანუ პრიზიორებისთვის, განსაზღვრულია დამატებითი გაკვეთილებიც. ჩვენი თხოვნა იქნება, ამ ხნის განმავლობაში შეეცადოთ ძირითადად გერმანულად ისაუბროთ, სასურველია, თქვენს თანამემამულეებსაც, რათა დანარჩენი ბავშვები არ გამოეთიშონ დიალოგს. მართალია, თქვენ სწორედ გერმანული ენის კარგად ცოდნისათვის დაიმსახურეთ ჯილდო, მაგრამ თქვენი ცოდნა მაინც დასახვეწია, ამიტომ მცირეოდენი შეცდომებისა ნუ შეგრცხვებათ. იმედია, მათ აღმოფხვრაში ვიზიტიც დაგეხმარებათ.

ყველა ბავშვს, მათ მშობლებს, ექსკურსიამძღოლებს ძალიან დააინტერესებთ თქვენი სამშობლოს შესახებ რაიმეს შეტყობა. გთხოვთ, მოამზადოთ მოკლე სიტყვა, ფოტოები, ხალხური სიმღერები ან ცეკვები ინტერნაციონალური საღამოსთვის.

გერმანიაში ვიზიტის მანძილზე თქვენ უზრუნველყოფილები იქნებით უფასო საკვებით, საცხოვრებელი ადგილით, კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებით, მუზეუმების მონახულებით, ტრანსპორტითა და ჯიბის ფულით. თუმცა ალბათ, თქვენ გენდომებათ სუვენირებისა და საჩუქრების წაღება სამშობლოში. გთხოვთ ამისთვის თან იქონიოთ ცოტაოდენი ფული“. ყოველივე ამას მოჰყვებოდა ათასი წვრილმანი, საბუთების ჩამონათვალი, ჩემი ჯგუფის ბავშვების სახელები, გვარები და ეროვნება.



წასვლის დღეც მალე დადგა. ასე დაბნეული, შეშინებული და თან უზომოდ გახარებული არასდროს ვყოფილვარ. მე პირველად ვტოვებდი საქართველოს.

თვითმფრინავი ცაში აიჭრა. გადმოვყურებდი თბილისს, უცნაურად პატარას და მშობლიურს და მივცურავდი ღრუბლებში. სწრაფად გამოგვეცალა ფეხქვეშ მანძილი თბილისიდან თურქეთის ქალაქ — სტამბულამდე, იქიდან, კი გერმანიის ყოფილ დედაქალაქამდე, ბეთჰოვენის მშობლიურ მხარემდე — ბონამდე. იქ უნდა დაწყებულიყო ჩვენი თავგადასავალი. აეროპორტში ეგვიპტელი გიდი სარა დაგვხვდა. მის მიმართ მაშინვე ძალიან კარგად განვეწყვეთ.

ჩვენს თოთხმეტკაციან ჯგუფში მოხვდნენ ბრაზილიიდან, კანადიდან, ეგვიპტიდან, მონღოლეთიდან, ტოგოდან, ალჟირიდან და მაურიტიუსიდან ჩამოსული ბავშვები. წასვლამდეც და მერეც სამივე ვცდილობდით გაგვეცნობიერებინა, რომ ჩვენი თითეული სიტყვა, ქცევა საქართველოსთან იყო დაკავშირებული.

შედგა ჩვენი პირველი სადილი ბერძნულ რესტორანში. ყველა ცდილობდა, მხოლოდ გერმანულად ელაპარაკა. მეგობრები მალე შევიძინეთ. ექსკურსიამძღოლი ძალიან ორიგინალურად ამოწმებდა ყველანი ადგილზე ვიყავით თუ არა: „ბრაზილია აქ არის. საქართველო! აქ არის საქართველო? ძალიან კარგი!“ და ა.შ. ეს ჩვენს სიცილს იწვევდა და თან გვიხაროდა კიდეც, რომ მათთვის ჩვენ ვიყავით მთელი საქართველო. ჰოდა, „მთელი საქართველო“ შეიკრიბა სასტუმროს ნომერში. პირველივე დღე ემოციებით სავსე გამოდგა. ჩვენმა სიცილმა და მხიარულებამ გვერდით ოთახში დაბინავებული მოხუცი გერმანელი შეაწუხა და ჩვენ რამდენჯერმე მოგვიწია იმ სიტყვის თქმა, რომელსაც გერმანელები ყველაზე ხშირად და დიდი მოწიწებით წარმოთქვამენ: „ენთშულდიგუნგ“ — „ბოდიში“.

ბონში განსაკუთრებულად დამამახსოვრდა ბეთჰოვენის სახლი და ქალაქის ისტორიის მუზეუმი, სადაც ყველაფერი მოძრაობდა. ბონური სახლების პატარა მოდელებმა, დიალექტების ჩანაწერებმა, გერმანულმა მუსიკამ ყველას დაგვავიწყა, რომ მუზეუმში ვიმყოფებოდით. ახალ-ახალი შთაბეჭდილებები ყოველდღე იწერებოდა დღიურში და ფოტოფირზე. მე და თამუნა მასპინძელთა თხოვნის გათვალისწინებით სხვების თანდასწრებით დიდხანს ქართულად საუბარს ვერიდებოდით. მალე კი განმარტოებულებიც გერმანულად ლაპარაკს ვცდილობდით, გიორგიმ მხარი არ აგვიბა, ჩვენ კი მის ქართულ კითხვებს ჯიუტად გერმანულად ვპასუხობდით. ასეთი მეთოდი ძალიან დაგვეხმარა.

ამის შემდეგ ორი კვირა უნდა გვეცხოვრა დუისბურგში, მაგრამ არა სასტუმროში, არამედ გერმანულ ოჯახში. მე და მელიკე — მასპინძელი გოგონა ძალიან დავმეგობრდით.

ჩვენი გერმანელი ექსკურსიამძღოლისგან შევიტყვეთ, რომ ეს პროგრამა მიზნად ისახავდა ასევე გერმანიისა და გერმანელების შესახებ შექმნილი უარყოფითი შეხედულების გაფანტვას და ამ ქვეყნის უცხოელებისათვის თავიდან გაცნობას. თურმე, ამერიკელების ნახევარს მიაჩნია, რომ დღემდე ყველა გერმანელი ფაშისტი და მწვალებელია. მე კი აი რას ვიტყოდი ჩვენს მასპინძლებზე: გერმანელები გამოირჩევიან ყურადღებიანობით, თავშეკავებული მანერებით, სწრაფი აზროვნებით და უემოციო ქცევით, შენიღბული სითბოთი. მე ასეთი ქართველი ადამიანები განსაკუთრებულად დახვეწილად მიმაჩნია და ძალიან მომწონს. თუმცა, მინდა წავიტრაბახო, ვერც ისინი ფარავდნენ სიმპათიას ქართული სიცოცხლით სავსე ხასიათის მიმართ.

დუისბურგში დავდიოდით სკოლაში, რომლის პროგრამა დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც აქ. განსხვავება იმაშია, რომ იქ ძალიან ცოტა საშინაო დავალება აქვთ. ამავე ქალაქში ჩვენ რამდენიმეწუთიანი გამოსვლით ოთხმოცდაათი ეროვნების ორასკაციან აუდიტორიისათვის უნდა წარგვედგინა საქართველო. ჩვენ დავუკარით სიმღერები: „გაზაფხული შემოსულა ლენ“, „ჭრელო პეპელა“ და „ჟუჟუნა წვიმა“, მოვყევით ქართული უძველესი კულტურის შესახებ, გამოვფინეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის პეიზაჟები, ყანწით ვთქვით სადღეგრძელოები და ტაშიც დავიმსახურეთ. მო-

დიოდნენ და სიმღერების დაკვრას კიდევ გვთხოვდნენ.

უმეტესობამ საქართველოს შესახებ არაფერი იცოდა. ბოდიშს გვიხდიდნენ ამის გამო და გვეკითხებოდნენ მის ზუსტ ადგილმდებარეობას. ბევრს ჰგონია, თითქოს საქართველო რუსეთის შემადგენლობაში შედიოდეს ან ქართული ენა საერთოდ არ არსებობდეს და რუსულად ვლაპარაკობდეთ. გულისტკივილი რომ შემატყვეს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა თანატოლებმა, დამამშვიდეს, თვითონაც გამიზიარეს წუხილი, მაგალითად, ბრაზილიელმა მითხრა, კარნავალები და ფეხბურთი ჰგონიათ მარტო ბრაზილიაო, კანადელებმა გვითხრეს, ჩვენ ხშირად ამერიკას გვადარებენ და ფიქრობენ, რომ ეს ორი ქვეყანა ერთმანეთისგან მხოლოდ სახელით განსხვავდებაო, აფრიკელებმა დაამატეს, ჩვენი ქვეყნების შესახებ საერთოდ ცოტამ თუ იცის რამეო. ამ საუბარმა ყველანი უფრო დაგვაახლოვა.

დუისბურგიდან გერმანიის დედაქალაქში — ბერლინში გავემგზავრეთ. ჩემი დუისბურგელი მასპინძლები ცრემლებით მაცილებდნენ. ცრემლებს მალე სიცილი შეენაცვლა. დღიურში კი ჩაიწერა სიტყვება: „არ მჯერა! ბერლინში ვარ!“თვალწინ წიგნებში ნანახი, ნაცნობი სურათები გადაიშალა. სიცოცხლით სავსე, ჭრელი, მრავალფეროვანი, უზარმაზარი და მჩქეფარე ბერლინი — მისი საინტერესო ისტორია, ბერლინის კედელი, ბრანდენბურგის კარიბჭე.. მე და თამუნა მონღოლ გოგონასთან ერთად მოვხვდით სასტუმროს ნომერში. სიხარულს, მუზეუმებში სიარულს, კონცერტებს, პიკნიკებს და ცეკვის საღამოებს ბოლო არ უჩანდა. ბერლინში ჩასვლამდე თითო-თითო დღით ვიყავით ცათამბჯენი ეკლესიებით სავსე კიოლნში, დიუსელდორფში, უძველეს ქალაქ მიუნსთერში, მაგრამ ბერლინმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ღამით ყველაფერი კიდევ უფრო მშვენიერი ხდებოდა. ტელევიზიის უზარმაზარი ანძიდან ათასი შუქით განათებული და წარმოუდგენლად ლამაზი ხედი იყო. მართალია, უცხო მშვენიერება, ულამაზესი შენობები, მუზეუმები, აჭრელებული მაღაზიები ძალიან მართობდა, ყველაზე მეტად მაინც ის მსიამოვნებდა, სადილად რომ ვსხდებოდით და ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით. იმიტომ არ ვამბობ, რომ ეს კარგად ჟღერს, უბრალოდ, აღმოვაჩინე, რომ ყველასთვის მთავარი მაინც სითბო და თანაგრძნობაა.

ნელ-ნელა „ზღაპარი“ დასასრულს უახლოვდებოდა. მიუნხენში უნდა გავმგზავრებულიყავით, ორი დღის შემდეგ კი საქართველოში გამოვფრენილიყავით. ამან ყველა დაგვაღონა. განსაკუთრებით საუკეთესო მეგობრებს ვერ ველეოდით: მონღოლ გოგონას მარალის, კანადელ შავკანიან ბიჭს — ჯეისანს, და ეგვიპტელ ექსკურსიამძღოლს — სარას.

ბოლო დღეს გერმანიის უმაღლეს მწვერვალზე წაგვიყვანეს, ზაფხულში თოვლიც ვნახეთ, ბრაზილიელი კი აღტაცებული დარჩა, რადგან თოვლს პირველად ხედავდა.

ერთმანეთს გამოსამშვიდობებელ წერილებს ვწერდით, ბიჭებიც და გოგონებიც ცხარე ცრემლით ვტიროდით და თან საკუთარ თავზე გვეცინებოდა. სამუდამოდ განშორების წუხილს ის გვიმსუბუქებდა, რომ ყოველთვის შეგვეძლება ერთმანეთისთვის წერილების მიწერა, დარეკვა. თუმცა, ვინ იცის, ცხოვრება ისეთი უცნაურია, შეიძლება სრულიად მოულოდნელად ისევ შეგვახვედროს ერთმანეთს. სტამბულის აეროპორტში ცხრა საათის გატარება მოგვიწია.

აი, ჩემი თბილისიც. სხვანაირი, ქართული ჰაერი, ყველა ქართულად ლაპარაკობს და ყველამ იცის, რომ საქართველო დამოუკიდებელია, დიდი ისტორიის ქვეყანაა და რუსეთსა და თურქეთს, შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის მდებარეობს. ხოლო თუ ვინმემ არ იცის, შემიძლია ეს ყველაფერი გერმანულად ერთი ამოსუნთქვით ვუთხრა!

**სალომე ჯაფიაშვილი,**
**„ქართული სასწავლებელი“, XI კლასი**



**P.S.** გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ, რამდენიმე კვირაში დავწერე ჩემი შთაბეჭდილებები გერმანულ ენაზე და გავუგზავნე ორგანიზატორებს. ამის შესახებ მათ თავიდანვე გაგვაფრთხილეს. ასეთი წერილი უკლებლივ ყველას უნდა დაეწერა.

რამდენიმე ხნის შემდეგ პასუხიც მივიღე:

ძვირფასო სალომე,

ულრმეს მადლობას გიხდით შთაბეჭდილებების დროულად გამოგზავნისათვის. თქვენი წერილი ძალიან სასიამოვნოდ იკითხებოდა და მომავალი პროგრამების დაგეგმვაში ძალიან დაგვეხმარება. ჩვენ ყველას ნაშრომი წავიკითხეთ და მხოლოდ საუკეთესო ავტორები დავასაჩუქრეთ წიგნების დიდი ამანათით. მათ შორის ხართ თქვენც.

წერილი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო მშრალი — პირიქით! იმ გულახდილმა და უშუალო სიტყვებმა, რომელსაც შესავალში შეგვპირდით და შეასრულეთ კიდეც, ძალიან მოგვხიბლა. სწორედ ლამაზი მხატვრული გაფორმება, შედარება თქვენს, სამშობლოსთან, კრიტიკა, ისევე როგორც ქება ძალიან კარგად გადმოეცით. თამამად შეგვიძლია გითხრათ, რომ იდეალური პრიზიორი იყავით. ამასთან, გვინდა გთხოვოთ, გაგებით მოეკიდოთ იმ ფაქტს, რომ არ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ თქვენი პროგრამაში კიდევ ერთხელ მონაწილეობის დიდი სურვილი.

მომავალში შევეცდებით ისეთი საუკეთესო წერილები, როგორიც თქვენია, ამომწურავად გავარჩიოთ და ამის მიხედვით მოვემზადოთ მომავალი პროგრამებისათვის. ეს განსაკუთრებით ეხება მგზავრობის, სასტუმროსა და ოჯახში ცხოვრების პირობებს. შევეცდებით ფრენის, დროც უკეთესად შევარჩიოთ, რომ ვინმეს თქვენსავით ბევრი ლოდინი აღარ მოუწიოს.

წლევანდელმა წერილებმა და ახალგაზრდების კარგმა შთაბეჭდილებებმა დაგვანახა, რომ პროგრამამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. თქვენი თანატოლებიდან, რომლებიც გერმანიაში გვესტუმრნენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ბევრი ძალიან დამეგობრდა. ერთმანეთთან კარგ ურთიერთობებს შორ მანძილზეც ინარჩუნებენ. ამავე დროს, ურთიერთგაგებასა და მშვიდობაზე მსოფლიოს მრავალ კუთხეში მხოლოდ ოცნება თუ შეიძლება. ასეთ დროს, ამ პროგრამის წყალობით ხალხების, კულტურებისა და რელიგიების დიალოგში სულ მცირე წარმატებაც კი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ვიმედოვნებთ, რომ ამ ერთმა თვემ გერმანული ენის ცოდნა გაგიღრმავათ, თუმცა ყველა განსაკუთრებით კარგი წერილი და რა თქმა უნდა, მათ შორის თქვენიც, ამ ენის არაჩვეულებრივ ცოდნას გულისხმობს. ეს არ ეხება მხოლოდ მართლწერას, არამედ სტილს, იდიომატურ გამოთქმებსა და ტექსტის წყობას. ჩვენ გვინდა კომპლიმენტი გავუკეთოთ თქვენს მასწავლებელს. ნამდვილად შესანიშნავი პრიზიორები და თქვენი სკოლის, ქვეყნის ახალგაზრდა ელჩები იყავით გერმანიაში.

მოხარულნი ვიქნებით, თუ კიდევ შეგვეხმიანებით და გერმანიაში ჩამოსვლის შემთხვევაში ნებისმიერ დროს თქვენ გვერდით გვიგულეთ. მიუხედავად ამისა, გთხოვთ გაგვიგოთ, რომ თქვენნაირი ნიჭიერი ახალგაზრდებიც კი შეგვიძლია მხოლოდ ერთხელ დავპატიჟოთ და ვერც გერმანიაში სწავლის შემთხვევაში გაგიწევთ რაიმე მატერიალურ დახმარებას, რის გამოც კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს.

მუდამ თქვენი მეგობარი გერმანიის კულტურის სამინისტროდან — იორგ კრემერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი...

## დროშა-ჯრამი

სამხედრო დროშა სამხედრო ნაწილის სიმბოლოა და იგი წარმოადგენს ქუდიან ტარზე მიმაგრებულ განსაზღვრული ზომისა და ფერის ქსოვილის ნაჭერს.

პირველი დროშები ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში გაჩნდა. მაშინ მათ ლაშქრის სახმობი და გამაერთიანებელი დანიშნულება ჰქონდა. მაღალ ლატანზე რამე გამოსახულებას ან წარწერებიანი თუ სიმბოლოებიანი ქსოვილის ნაჭერს ამაგრებდნენ. მაგალითად, ძველ რომში საბრძოლო დროშად ხის ტარის წვერზე დამაგრებული არწივი ითვლებოდა.

XV საუკუნიდან მოყოლებული, საფრანგეთში, მერე კი სხვა ქვეყნებშიც საბრძოლო დროშებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ამიერიდან ისინი სიმამაცისა და ღირსების სიმბოლოდ იქცა. მათ ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც კი იცავდნენ მტრისაგან. დროშების დაკარგვა მებრძოლისა და მთელი ჯარის სირცხვილი იყო. მეორე მხრივ მოწინააღმდეგის დროშის ხელში ჩაგდება დიდ ვაჟკაცობად ითვლებოდა და გამარჯვების სიმბოლიკის ნაწილს წარმოადგენდა.

სიტყვა „დროშა" ქართულ წერილობით წყაროებში IX საუკუნიდან გვხვდება. დროშის აღსანიშნავად ქართულში სხვა ტერმინებიც იხმარებოდა — „დრუში", „ბაირაღი", „ბავრაყი". დროშის ტარს ქართულ წყაროებში ეწოდება „ძელი" ან „ბუნი". არსებობდა სახელმწიფო დროშა, საეკლესიო ლაშქრის დროშა (ლაშქრის ცალკეულ ნაწილებსაც თავ-თავისი დროშები ჰქონიათ). დიდმნიშვნელოვანი მოვლენების, ვთქვათ, მეფედ კურთხევის, ლაშქრად წასვლის და სხვა დროს გამოჰქონდათ საქართველოს სახელმწიფო, სეფე დროშა. მაგალითად, „ქართლის ცხოვრება" გვაუწყებს, რომ როცა ქართველთა ჯარი სპარსელებზე სალაშქროდ გამზადა, თამარმა „მოიღო დროშა სვიანად ხმარებული, გორგასლიანი და დავითიანი და ლაშქარი დალოცა და წარავლინა სპარსეთს". ფეოდალურ საქართველოში არსებობდა სადროშო, სამხედრო-ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული. სადროშოდან გამოყვანილი ჯარი ბრძოლის დროს ერთ სამხედრო-ტაქტიკურ შენაერთს ქმნიდა, რომელსაც ასევე სადროშო ერქვა. სადროშო ერთ სარდალს ექვემდებარებოდა, მის სიმბოლურ ნიშანს კი დროშა წარმოადგენდა. XI-XV საუკუნეებში საქართველოში ოთხი მსხვილი სადროშო არსებობდა: 1. მეწინავე — სამხრეთ საქართველო, 2. მემარჯვენე — დასავლეთ საქართველო. 3. მემარცხენე — ქართლის აღმოსავლეთით მდებარე პროვინციები, ძირითადად ჰერეთ-



კახეთი, 4. მეფის სადროშო — შიდა ქართლი. ამ მსხვილ სადროშოებში შედიოდა უფრო მცირე სადროშოები — საერისთავოები. ერისთავს, როგორც თავისი საერისთავოდან გამოყვანილი ჯარის სარდალს, განსაკუთრებული დროშა ებარა, საქართველოს ამირსპასალარის განკარგულებაში 12 დროშა იყო. თითოეულ სადროშოში შედიოდა 1000 კაცი.

## მცირე სამხედრო ლექსიკონი

**გენერალი** (ლათ. generalis — საერთო, მთავარი), შეიარაღებული ძალების უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის სამხედრო წოდება ან ჩინი, პირველად საფრანგეთში შემოიღეს (XVI ს).

**გენერალისიმუსი** (ლათ. generalissimus— ყველაზე მთავარი) — უმაღლესი სამხედრო წოდება ზოგი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. ენიჭებოდათ მხედართმთავრებს, რომლებიც ომის დროს სარდლობდნენ რამდენიმე არმიას, ან სამეფო დინასტიის წევრებს და სახელმწიფო მოღვაწეებს, როგორც საპატიო წოდება. 1569 წელს საფრანგეთის მეფე შარლ IX-მ გენერალისიმუსის წოდება მიანიჭა თავის 18 წლის ძმას (შემდეგში მეფე ანრი III). მას შემდეგ ეს წოდება ჰქონდათ: საფრანგეთში — ჰერცოგ ა. დე გიზს (1550-88), პრინც დე კონდეს (1621-88), ჰერცოგ კლ. ვილარს (1653-1734), ჰერცოგ ა. რიშელიეს (1696-1788). ავსტრიაში — თავად რ. მონტეკუკოლის (1609-80), პრინც ოიგენ სავოიელს (1663-1736), გრაფ ლ. დაუნს (1705-66), ერცჰერცოგ კარლს (1771-1847), თავად ფ. შვარცენბერგს (1771-1820). გერმანიაში — გრაფ ა. ვალენშტაინს (1583-1634). რუსეთში — მხედართმთავარ ა. შეინს (1662-1700), თავად ა. მენშიკოვს (1673-1729), პრინც ანტონ ულრიხ ბრაუნშვაიგენს (1714-74), ა. სუვოროვს (1729-1800), სსრკ-ში 1945 წლის 27 ივნისს გენერალისიმუსის წოდება მიენიჭა იოსებ სტალინს.

**დივიზია** (ლათ. divisio — დაყოფა) — ტაქტიკური შენაერთი სახმელეთო ჯარებში, სამხედრო-საჰაერო ძალებსა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში. დივიზია არის ქვეითი (მსროლელი, მოტომსროლელი, მოტორიზებული, მოტოქვეითი) მექანიზებული, კავალერიის, საზენიტო, სატანკო (ჯავშანსატანკო), საავიაციო, საჰაერო-სადესანტო, აერომობილური, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისა და სხვა. დივიზიებად დაყოფა საფრანგეთსა და რუსეთში XVIII საუკუნეში შემოიღეს, XIX საუკუნეში კი უმეტეს სახელმწიფოთა არმიებშიც. თანამედროვე დივიზია შედგება პოლკების, ბრიგადების ან ბრიგადების ჯგუფებისაგან. მის შემადგენლობაში შედის სხვადასხვა სახეობის ჯარისა და სპეციალური ჯარების ნაწილები და სხვადასხვა სამსახურები. რაოდენობა და შემადგენლობა სხვადასხვაა. მაგალითად, აშშ-ში მექანიზებულ დივიზიაში შედის 18 ათასზე მეტი ადამიანი, დაახლოებით 190 ტანკი, 2,8 ათასამდე ავტომანქანა და სხვა.

**დესანტი** (ფრ. descente — გადასხმა, დაშვება) — მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე გადასასხმელად საგა-



ნგებოდ მომზადებული ჯარი. მასშტაბისა და მიზნის მიხედვით დესანტი შეიძლება იყოს სტრატეგიული, ოპერატიული, გადასხმის ხერხისა და საშუალების მიხედვით — საზღვაო, სატანკო და კომბინირებული.

23692

**ათეული** — 5-10 ჯარისკაცისაგან შემდგარი პირველადი საჯარისო ქვეგანაყოფი, რომელსაც, როგორც წესი, სერჟანტი მეთაურობს. რამდენიმე ათეული ოცეულს შეადგენს. ათეული შედის მოტომსროლელ (ქვეით), მესანგრეთა, მეკავშირეთა და სხვა ოცეულებში. მოტომსროლელი ათეული ბრძოლაში ოცეულის შემადგენლობაში მოქმედებს, დაზვერვაში, სალაშქრო და საყარაულო დაცვაში კი შეუძლია დამოუკიდებელი ამოცანაც გადაწყვიტოს.

**არმია** (ფრანგული **armee** ლათინური **armo** — ვაიარაღებ) 1. სახმელეთო ჯარები; 2. სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 3. სამხედრო ოპერაციის განხორციელებისათვის განკუთვნილი ოპერატიული შენაერთი. XVII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში არმია გულისხმობდა ერთი საომარი მოქმედების ასპარეზზე ერთიანი სარდლობის ხელქვეით თავმოყრილ ჯარებს.

თავდაპირველად არმია ორგანიზაციულად ერთგვაროვანი არ იყო, არმიის შემადგენლობა განისაზღვრებოდა მის წინაშე დასახული ამოცანებით, საომარი მოქმედების ასპარეზის თავისებურებით, მოწინააღმდეგის სიძლიერით, ჯარების მართვის უზრუნველყოფის საშუალებებითა და სხვა პირობებით. XIX საუკუნიდან დაწყებული არმია შედგებოდა 3-6 და მეტი კორპუსისაგან. კორპუსი კი 2-4 დივიზიისაგან.

ავტომობილების, ავტომატური იარაღის, ავიაციის, ტანკების გამოჩენამდე არმიის საფუძველს შეადგენდა ქვეითი ჯარი, ცხენოსანი ჯარი და არტილერია. ძირითადი დამრტყმელი ძალა ხიშტი იყო. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისათვის სხვადასხვა სახელმწიფოთა არმიებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ძრავამ და საბრძოლო მანქანებმა, გაჩნდა სატანკო, საჰაერო-სადესანტო და საჰაერო არმიები. უფრო მრავალფეროვანი გახდა არმიის საბრძოლო შემადგენლობაც.

**ასეული** — ძირითადი ტაქტიკური და ადმინისტრაციული ქვეგანაყოფი მოტომსროლელთა (ქვეითი) ჯარებში, აგრეთვე სატანკო, საჰაერო-სადესანტო, საინჟინრო, საავტომობილო და სხვა სპეციალურ ჯარებში. ასეული, ჩვეულებრივ, შედგება რამდენიმე ოცეულისაგან და შედის ბატალიონის შემადგენლობაში.

**ბატალიონი** — (ფრანგ. bataillon — ბრძოლა) პოლკის, ბრიგადის უმაღლესი ტაქტიკური ქვეგანაყოფი. თუ ბატალიონი უშუალოდ შენაერთის შემადგენლობაში შედის, მაშინ ის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულია და ცალკე ბატალიონი ეწოდება. თანამედროვე მოტომსროლელი და სატანკო ბატალიონი შედგება 3-4 ასეულისა და სხვადასხვა ოცეულებისაგან. ბატალიონების რიცხობრივი შემადგენლობა სხვადასხვაა. აშშ-ის არმიის მოტოქვეით ბატალიონში, მაგალითად, 900 კაცი ირიცხება, ინგლისისაში კი — 800-მდე.

ბატარეა — (ფრანგ. ბატტერიე— დარტყმა) — ძირითადი საცეცხლე საარტილერიო ქვეგანაყოფი. არსებობს ცალკე ბატარეა (პოლკის, სანაპირო არტილერიის) და საარტილერიო დივიზიონის შემადგენლობაში შემავალი ბატარეა. თავიდან აღნიშნავდა სხვადასხვა რაოდენობის ქვემეხების ტაქტიკურ გაერთიანებას. თანამედროვე არმიების ბატარეაში შედის 2-3 საცეცხლე ოცეული, მართვის ოცეული და 2-6 ქვემეხი ან 4-6 დანადგარი.

## მარცხენა! ერთი ორი... მარცხენა!

ვის არ გაუგონია ოფიცრის ეს ბრძანება, რომელიც ჯარისკაცებს მიუძღვის წინ. ისიც ყველამ ვიცით, რომ ნებისმიერი საზეიმო სვლის დროს, აღლუმზე იქნება თუ სპორტულ ღონისძიებაზე, მწყობრად სიარულს მარცხენა ფეხით ვიწყებთ, რატომ მაინცდამაინც მარცხენით?

აი რატომ: უძველეს დროში, როცა მეომრის ძირითადი იარაღი ფარ-ხმალი იყო, საბრძოლველად რომ ემზადებოდა, იგი მარცხენა ფეხს წინ წადგამდა და მკერდის მარცხენა მხარეს ფარით იფარავდა, მარჯვენაში კი მახვილი ეპყრა (შუბი, ხმალი და ა.შ.) იქიდან მოყოლებული, შემდგომში საწვრთნელ ვარჯიშებზე შეიარაღებული მამაკაცები ყველა ილეთს მარცხენა ფეხით იწყებდნენ. ასეა დღესაც.





საპარლამენტო ბიბლიოთეკა



# ძოე ჩიის მარგალიტები



# ქართული ხალხური პოეზია

## შირაქის გზაზე

შირაქის გზაზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო.
წინ შემეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარიო,
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჯვარიო.
ვაი, რა ძნელი ყოფილა
სხვაზე გავარდნილ თვალიო,
ალვანსა შემოვიარე,
შემოვატარე თვალიო.

## ა, ის ღრუბელნი მიყვარან

ა, ის ღრუბელნი მიყვარან,
ბორბალოზე რო დიანო,
ერთიმეორის შაყრასა
ხარობენ, მეელიანო.
შაიყრებიან ერთადა,
მანანას ჩამაყრიანო,
რაც უნდა ბევრი ეცადნენ,
ჩვენ ერთურთს ვერ გაგვყრიანო.

## ცაზედ მოდიან წერონი....

ცაზედ მ[illegible]იან წერონი,
მწკრივადა, ჯარის-ჯ[illegible]
ვერა ჰხედავთა, ტივლებ[illegible]
ცრემლი ჩამაძდის ღვარა[illegible]
წადით, წაი[illegible] ამბავი,
არსად დაჰკარგოთ მარადა;
უთხარით, ნუ დამივიწყებს
ქალსა ტურფას ტანადა;
ნეტავ არ ვაგონდებია —
მე ხო ვსულდგმულობ ძალადა?!

## ხოგაის მინდი

ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა ჭეხდა, მიწა გრგვინავდა,
სული გვიანა ჰხდებოდა.
ჩამოდიოდა მასკვლავი,
მთვარეც უკუღმა დგებოდა
ქორ-შავარდენი, არწივი
სუ მხრებით იხოშებოდა.
მაღლის ჭიუხის ნადირი
სატირლად ემზადებოდა,



ცხენი იმისა, ტიალი,
ლურჯა ტოტზედა დგებოდა;
ცოლი იმისი, ბეჩავი,
სულ შავად იმოსებოდა;
დედა იმისი, საბრალო,
ტირის, აღარა ჰხდებოდა,
მამა იმისი, საბრალო,
თმა-წვერით იხოშებოდა.

## კაი ყმა

სამი არ გაიწურთნება:
მგელი, არწივი, კაი ყმა.
მგელი არ მაშლის მგლობასა,
კაი ყმა მამაცობასა,
არწივი არწივობასა,
მთის ყურეთ თამაშობასა.
მგელი გაივლის მთაზედა,
ნამ გაბერტყილი დარჩება.
დაიხუვლების არწივი,
მთით ბარად ჩამოვარდება,
დაიჭერს შუნის თიკანსა,
ხორცი ძვალად-ღა დარჩება.
მაშინ კარგია კაი ყმა
რა დილა ბინდზე დგებოდეს,
იცვამდეს გრილსა რკინასა
„ომს ვიზამ" — ემზადებოდეს.
ლურჯაი ხრავდეს ლაგამსა,
წაღმა-უკუღმა დგებოდეს,
იხარჯებოდეს კაი ყმა,
თოფი ოსრადა რჩებოდეს.

# ჩემი ვარსკვლავი

თოვლით დაფარულ მთა-ბარს ღამემ შავი კალთა გადააფარა, მეც ღამის კალთას შევეფარე. სიბნელემ მაინც ვერ დაიმორჩილა თოვლის სინათლე, ვარსკვლავები აციმციმდნენ, ცივა, მოწმენდილ ცაზე მთვარეც ამობრძანდა და დედამიწას გადმოხედა.

—ამაღამ ძალიან დიდი ყინვა იქნება, — ამბობს ბებია. ფანჯარას მაინც არ ვშორდები.

შევცქერი ღამის იდუმალებით მოციმციმე ცას, ურიცხვ ვარსკვლავებს შორის რატომღაც ერთი ავირჩიე და ჩემად მივიჩნიე, იგი სხვებზე ნათელი და თვალებბრიალაა.

რა ჰქვია, არ ვიცი, ასტრონომიის ცოდნა არ მეყო, ავდექი და, ჩემი დედიკოს სახელი დავარქვი, რადგან დედიკოსავით ლამაზია. ხელს ვუქნევ და ვეფერები. ვარსკვლავი მიცინის...

რა კარგი, ლამაზი და უსასრულოა ოცნება...

ყოველ ღამით ველოდები ვარსკვლავების გამოჩენას, იქ ხომ ჩემი ვარსკვლავია, ვიცი, ისიც მიყურებს, შორიდან მეფერება, მიღიმის, ასეთი ლამაზი ღიმილი მხოლოდ დედიკოს შეუძლია, ამიტომაც მიყვარს... ხელისგულებში მოვიქცევ სითბოს, მერე ჩემს ვარსკვლავს გავუგზავნი.

ღამეა ყინვა ცივი ხელებით აწვება მინას... მე კი ჩემს ვარსკვლავს შევყურებ. იცით, რა მითხრა: „შენ ბედნიერ დროში იცხოვრებ, ცხოვრება ლამაზი იქნება და ყველანი ბედნიერები იქნებითო".

მე მჯერა, რომ ასე მოხდება, ეს ხომ ვარსკვლავმა მითხრა, ჩემს საქართველოშიც გაბრწყინდება ვარსკვლავი და ყველანი ბედნიერები ვიქნებით,

გმადლობ, ჩემო მეგობარო, ჩემო თვალებხატულა, მოციმციმე ვარსკვლავო! მე ყოველ ღამით დაგელოდები, რომ გიამბო რა მოხდა დღისით, შენ კი შენს ამბავს მეტყვი, ხელს დამიქნევ, მომეფერები და ისევ გამიღიმებ.

ღამე ფანჯრის მინას ცივი ხელებით აწვება, ცაზე კი ისევ ციმციმებს ჩემი ვარსკვლავი, ასე ლამაზი და ასე ახლობელი.

**გივი ცუხიშვილი**, საჩხერის რაიონის,
სოფელ ჩიხის საშუალო სკოლა, VI კლასი



ელენე დუდუჩავა, „ქართული სასწავლებელი", II კლასი

# ერთი თქვენგანი

## ნათია ხიზანიშვილი



7 წლის იყო ნათია, პირველად რომ მოუსმინა მცხეთის სამუსიკო სკოლაში ვიოლინოს და იმ დღიდან აიჩემა, მეც უნდა ვისწავლო ამ საკრავზე დაკვრაო. თუმცა დედას, რომელიც თავადაც მუსიკის მასწავლებელი გახლავთ, უნდოდა, რომ ნათიას უფროსი დასავით, ნინოსავით ფორტეპიანოს კლასში დაეწყო სწავლა, მაინც ძალიან გაუხარდა, რომ მისმა გოგონამ თვითონ გააკეთა არჩევანი და სიამოვნებით მიუყვანა ვიოლინოს პედაგოგს მანანა არქიელიძეს. ისე სწრაფად აუღო პატარა ნათიამ ალღო საკრავს, თავიდანვე ისეთი ურთიერთობა დამყარდა მათ შორის, თითქოს პირველს მეორე მოთვინიერებული ჰყოლოდეს. რაც მთავარია, გამორჩეულ მუსიკალურ ნიჭთან ერთად გოგონამ მუსიკისთვის აუცილებელი შრომისმოყვარეობა და გულმოდგინებაც იმთავითვე გამოიჩინა.

დღეს საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი ნათია ხიზანიშვილი ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის მე-7 კლასის მოსწავლეა და პედაგოგ როდამ ჯანდიერის ხელმძღვანელობით ხვეწს საშემსრულებლო ოსტატობას. ქალბატონი როდამი ძალიან მკაცრი და მომთხოვნი მასწავლებელია, თუმცა ნათია იშვიათად იმსახურებს მის საყვედურს. ნორჩ მუსიკოსს უკვე საკმაოდ მდიდარი რეპერტუარი აქვს — ბახი, ჰენდელი, ვივალდი, ცინცაძე, აზარაშვილი, კემულარია — და წარმატებითაც მონაწილეობს შიდასასკოლო კონცერტებსა თუ სხვადასხვა კონკურსებში.

ნათია სწავლის გაგრძელებას თბილისის კონსერვატორიაში აპირებს და ამთავითვე მთელი სერიოზულობით ემზადება საამისოდ. მისი ნიჭის, შესაძლებლობების, შრომისმოყვარეობის და უკვე მოპოვებული წარმატებების გათვალისწინებით, უნდა ვიფიქროთ, რომ ის ფართო ასპარეზისკენ გაიკვალავს გზას და მომავალში მისი სახით ქართველ მევიოლინეთა რიგებს საკუთარი შემოქმედებითი ხელწერით გამორჩეული ხელოვანი შეემატება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წიგნები და გმირები



## რობინზონ კრუზო




უთუოდ ყველას გექნებათ წაკითხული ან სულაც ეკრანზე ნანახი რობინზონ კრუზოს თავგადასავალი, ალექსანდრ სელკირკის სახელი კი ცოტას თუ ვინმეს ექნება გაგონილი. არადა, სწორედ იგი გახლავთ დღეს მთელ მსოფლიოში ცნობილი ლიტერატურული გმირის პროტოტიპი.

1704 წელს კლიპერ „ხუთი პორტის“ შტურმანი ალექსანდრ სელკირკი თავის კაპიტანს აუხირდა, გემი ცუდ მდგომარეობაშია და მისი ზღვაში ყოფნა საშიშიაო. კაპიტანი და შტურმანი წალაპარაკდნენ, წალაპარაკება უსიამოვნებაში გადაიზარდა და კონფლიქტის გამწვავების თავიდან ასაცილებლად კაპიტანმა გადაწყვიტა ურჩი შტურმანი თავიდან მოეცილებინა და როგორც კი გემი რომელიღაც კუნძულის სიახლოვეს აღმოჩნდა, მასზე გადასვა იგი. ასე აღმოჩნდა ალექსანდრ სელკირკი ხუან-ფერნანდესის არქიპელაგის უკაცრიელ კუნძულზე, სადაც თითქმის ხუთი წელი დაჰყო. იკვებებოდა თხის რძით, კუს კვერცხებით, თევზით, ხილით. 1709 წლის თებერვალში კი მას ბედმა გაუღიმა, კუნძულის სიახლოვეს ბრისტოლური ხომალდი გამოჩნდა და უჩვეულო ხიზანი ბორტზე აიყვანა. სულ მალე ჟურნალ-გაზეთების წყალობით ალექსანდრ სელკირკის უცნაური თავგადასავალი მთელი ინგლისისათვის გახდა საცნაური. 1719 წელს კი გამოვიდა დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“. როგორც ამბობენ, მწერალი უშუალოდ შეხვედრია თავისი მომავალი ლიტერატურული გმირის პროტოტიპს.

## ბარონი მიუნჰაუზენი



ვინ მოთვლის, რამდენი თაობა გაუმხიარულებია ცრუპენტელა ბარონ მიუნჰაუზენის საარაკო თავგადასავლებს, მის ხრიკებსა და ოინებს, რ. რასპეს, გ. ბიურგერის თუ კ. იმერმანის წიგნებში რომ არის მოთხრობილი. ბარონი იერონიმ ფრიდრიჰ მიუნჰაუზენი მართლა არსებობდა (1720-1797). წარმოშობით იგი გერმანიის პატარა ქალაქ ბოდენვერდიდან იყო. სხვათაშორის, დღეს ამ ქალაქის სიმბოლო მხოლოდ მისი გერბი კი არა, ყუმბარაზე გადამჯდარი მომღიმარი მიუნჰაუზენიც გახდა. აქ მისი სახლ-მუზეუმიც არსებობს, მუზეუმის წინ კი მომცრო პავილიონი დგას, სწორედ აქ ართობდა ბაქია ბარონი ბოდენვერდერელებს თავისი საბრძოლო გმირობის ტყუილ-მართალი ამბებით. ერთხელაც მის მსმენელებს შორის ბიბლიოთეკარი და ანტიკური სამყაროს მკვლევარი, პროფესორი რუდოლფ ერიჰ რასპეც აღმოჩენილა, რომელსაც მოსწონებია ხალისიანი ისტორიები, დაუმახსოვრებია, ჩაუწერია ისინი და 1786 წელს წიგნად გამოუცია.

# სიტყვათა უცხოენოვანი ნაწილები

**ა...** (ბერძნ. a...an – სიტყვის საწყისი ნაწილი, რომელიც უარყოფას აღნიშნავს. ამორალური, ანჰიდრიდი.

**ავია...** (ლათ. avis) – ავიაბომბი, ავიატექნიკოსი.

**ავტო** (ბერძნ. Avtos თვითონ) – მნიშვნელობით შეესატყვისება სიტყვებს „თავისი“, „საკუთარი“, „თვითონ“ ავტორეფერატი.

**აგრო...** (ბერძნ. agros მინდორი) – აგროტექნიკა.

**ამფი...** (ბერძნ. amphi) – ირგვლივ, ახლოს, ორივე მხრიდან, ამფითეატრი, ამფიბია.

**ანტი...** (ბერძნ. anti) გამოხატავს რაიმე საპირისპიროს ან მტრულს. ანტიბიოტიკი, ანტიფაშისტი.

**ანთროპო...** (ბერძნ. anti anthropos ადამიანი) – ანთროპოლოგია.

**არქეო** (ბერძნ. arhaios ძველი) არქეოლოგია.

**არქი...** (ბერძნ. უფროსი, მთავარი) არქიპელაგი. არქიეპისკოპოსი.

**ასტრო...** (ბერძნ. astron ვარსკვლავი) ასტრონავტი, ასტრონომია.

**აცეტ...** (ლათ. acetum ძმარი) აცეტონი.

**აერო...** (ბერძნ. aer ჰაერი) აეროხოლი, აეროპლანი.

**ბარო...** (ბერძნ. baros სიმძიმე) – მნიშვნელობით შეესაბამება სიტყვას „წნევა“. ბარომეტრი.

**ბი...** (ლათ. bi ორიანი... bis ორჯერ) ორი ნაწილისგან შემდგარი, ორი ნიშნის მქონე. ბიატლონი.

**ბიბლიო...** (ბერძნ. biblion წიგნი) ბიბლიოთეკარი, ბიბლიოფილი.

**ბიო...** (ბერძნ. bios სიცოცხლე) ბიოგრაფია, ბიოსფერა.

**ვიბრო...** (ლათ... vibrare კანკალი, რყევა) ვიბრომეტრი.

**ვიდეო...** (ლათ. video ვხედავ) ვიდეოტელეფონი.

**ვიცე...** (ლათ. vice სანაცვლოდ, მაგიერ) – მნიშვნელობით შეესაბამება სიტყვებს „მოადგილე“, „თანაშემწე“. ვიცეპრეზიდენტი.

**გასტრო...** (ბერძ. gaster მუცელი, კუჭი) – გასტრონომი.

**გრაფო...** (ბერძნ. grapho ვწერ) გრაფოლოგია.

**დე...** (ლათ. de) – ნიშნავს მოშორებას, გაუქმებას, მოძრაობას ქვევით, დაშვებას. დემობილიზაცია, დეგრადაცია.

**დეზ...** (ფრ. des) – ნიშნავს განადგურებას, რაიმეს მოშორებას ან არსებობას. დეზაქტივაცია.

**დეკა...** (ბერძ. deka ათი) დეკადა.

**დერმატო...** (ბერძნ. derma კანი) დერმატიტი.

**ექსტრა...** (ლათ. extra მეტისმეტად) ექსტრაორდინარული.

**ზოო...** (ბერძნ. zoon ცხოველი) ზოოპარკი.

**იხტიო...** (ბერძნ. ichtys თევზი) იქთიოლი.

**კარდიო...** (ბერძნ. kardia გული) კარდიოლოგია.

**კრიპტო...** (ბერძნ. kryptos საიდუმლო, ფარული) კრიპტოგრამა.

**მეგა...** (ბერძ. megas დიდი) მეგაფონი.

**მელო...** (ბერძ. melos სიმღერა) მელომანია.

**მიკრო...** (ბერძნ. mikros მცირე) მიკროფილმი

**მონო...** (ბერძნ. monos ერთი, ერთიანი, ერთადერთი) მონოგრამა

**ნეო...** (ბერძნ. neos ახალი) ნეოლოგიზმი.

**პალეო...** (ბერძნ. palaios ძველი) პალეოტიპი.

**პოლი...** (ბერძნ. poly ბევრი) პოლიგრაფია.

**ფსიქო...** (ბერძნ. psyche სული) ფსიქიატრია.

**სტერეო...** (ბერძნ. stereos მტკიცე, სივრცობრივი) სტერეოტიპი.

**სუპერ...** (ლათ. super ზევიდან, მთვარე, უმაღლესი) სუპერმენი.

**ტელე...** (ბერძნ. tele შორს) ტელეობიექტივი.

**ულტრა...** (ლათ. ultra უფრო, ზე, მეტისმეტი) ულტრამოდური.

**ფოტო...** (ბერძნ. phos სინათლე) ფოტოგრაფია.

**ჰიდრო...** (ბერძნ. hydos წყალი) ჰიდროლოგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვიქტორინა ჭკუის კოლოფებისთვის



1. რა ერქვა ბერძენთა ქალღმერთს, რომელიც კვიპროსელ მოქანდაკე პიგმალიონს მის მიერ სპილოს ძვლისგან გამოკვეთილი ქანდაკების გაცოცხლებაში დაეხმარა?

ა) აფროდიტე.
ბ) მეტიდა
გ) ათენა




2. რა ეწოდება 1968 წელს ინდოეთის სამხრეთში დაარსებულ ქალაქს, რომელშიც მამაკაცებსა და ქალებს ყველა ქვეყნიდან შეუძლიათ „იცხოვრონ მშვიდობიანად და მხარდ ჰარმონიაში განურჩევლად სარწმუნოებისა, ყოველგვარი პოლიტიკის და ეროვნული პრობლემების გარეშე?"

ა) პონდიჩერი
ბ) მადრასი
გ) აუროვილი



3. წრომის VII საუკუნის ტაძარი მდებარეობს...

ა) ხაშურის რაიონში
ბ) გორის რაიონში
გ) კასპის რაიონში



4. ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები დასაფლავებულია...

ა) სვეტიცხოვლის ტაძარში
ბ) ალავერდის საკათედრო ტაძარში
გ) გელათის ტაძარში



5. რა დევიზით ტარდება საერთაშორისო მათემატიკური თამაში-კონკურსი „კენგურუ"?

ა) „მათემატიკა-ყველასათ ას"
ბ) „ვისწავლოთ მათ ა"
გ) „მათემატიკა — თქვ ეგობარი"

პასუხ „ნაკადულის" წინ რში გამოქვეყნებული ვიქტორინის კითხვებზე: 1. ბარონი კარლ ფონ დრაიზი. 2. გალერეა. 3. ტაჯ- ლი (ითარ- „-უკეთესო სასახლეთა შორის"). 4. ჯორჯ სტეფენსონი. 5. პარიზში.

# შენ სწორი თმა გაქვს, შენს ძმას — ხუჭუჭი. რატომ?



თავდაპირველად თმას სულ სხვა დანიშნულება ჰქონდა — ის ჩვენ შორეულ წინაპარს ტანსაცმლის მაგივრობას უწევდა, ანუ ათბობდა. დროთა განმავლობაში ბუნებრივი „გამათბობლები" ხელოვნურმა სამოსელმა შეცვალა და თუმცა ადამიანმა „თავის სარქველიც" გამოიგონა ქუდისა თუ თავშალის სახით, თავზე თმა მაინც შემორჩა.

ო, რა საგულდაგულოდ ვუვლით თმას — ვიჭრით, ვიღებავთ, ვიხვევთ. ახლა სარკესთან რამდენ ხანს ვტრიალებთ — ხან მარჯვნივ გადავივარცხნით, ხან მარცხნივ, ხანაც შუაზე გადავიყოფთ. და როგორ მტკივნეულად განვიცდით, როცა თმა გვიჭაღარავდება ან გვცვივა. იქნებ იმიტომ, რომ თმის ვარცხნილობას, ფერსა თუ სისქეს შეუძლია თავის მოყვანილობაც შეგვიცვალოს და პირისახეც, მოგვიმატოს ან დაგვიკლოს ასაკი და უბრალოდ, გაგვალამაზოს ან დაგვამახინჯოს...

ადამიანმა თმაზე ასეთი ზრუნვა უძველესი დროიდან დაიწყო. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ძველ ეგვიპტეში წლიდან წლამდე იცვლებოდა ვარცხნილობის მოდა, ევროპაში კი სამი საუკუნის წინ შეიძლება ითქვას, გამაოგნებელი მოდა გაბატონდა — მანდილოსნები თავით თმისგან, ყვავილებისგან, ბაფთებისგან და ძვირფასი ქვებისგან შექმნილი მრავალსართულიანი ნაგებობებს დაატარებდნენ (საბრალოებს თავი ალბათ ხან მარჯვნივ სძლევდათ, ხან მარცხნივ), მაშინ როცა ეტიკეტის თანახმად, სარგადაყლაპულებსა და თავაწეულებს უნდა ევლოთ!), მამაკაცები კი უზარმაზარ ხვეულ პარიკებს ატარებდნენ. მერე და მერე დროისა და ეპოქების სულისკვეთებისა და საერთო მახასიათებლების ცვლილების შესაბამისად, ჩასაცმელ-დასახურავთან ერთად იცვლებოდა ვარცხნილობებიც. ერთი ხანობა ბევრ ქვეყანაში და მათ შორის, საქართველოშიც, ქალები წელამდე ნაწნავებით იწონებდნენ და აწონებდნენ თავს, კაცები კი კისრამდე ან მხრებამდე იზრდიდნენ თმას. შემდეგ დიდი ხნით დამკვიდრდა მამაკაცებისთვის მოკლედ შეჭრილი, ქალებისთვის კი სხვადასხვა დონემდე შეკვეცილი თმის მოდა.

გამოხდა ხანი და გასული საუკუნის 60-იან წლებში გრძელი თმების ახალი ერა დაიწყო. ამ შემთხვევაში ტონის მიმცემები როკ-მუსიკოსები გახდნენ, რომლებმაც არსებული სინამდვილისადმი პროტესტის გამოხატვის საშუალებად თმების მოშვება აირჩიეს. იმ პერიოდის კერპების, „ბითლების" მიბაძვით ახალგაზრდებმა მთელ მსოფლიოში დაიწყეს მოშვებული თმით სიარული. ვარცხნილობა დღესაც რჩება პროტესტის ან რომელიმე ჯგუფის კუთვნილების გამოხატვის საშუალებად. თუნდაც პანკები გავიხსენოთ თავისი ბიბილოსმაგვარი ვარცხნილობით (ეს ვარცხნილობა პანკებმა ჩრდილოამერიკელი ინდიელების მეომარი ტომის, ირაკეზებისგან გადაიღეს), ან სკინჰედები, რომლებიც საერთოდ იხოტრავდნენ თავს. თავის გადახოტვრა კი ამ უკანასკნელებს ძალიან ხშირად უწევთ, იმიტომ რომ ყველა სხვა ადამიანივით თმა მათაც საკმაოდ სწრაფად ეზრდებათ. თავად განსაჯეთ — საშუალოდ თვეში თმა ერთი სანტიმეტრით იზრდება. თმის ზრდა თმის ძირის ბოლქვში იწყება. იქ, კანის სიღრმეში, ჩნდება უჯრედები, რომელიც წვრილ-წვრილ ძაფებს ქმნის. ნელ-ნელა უჯრედები ზევითკენ მიიწევენ, გზად თავის ზედაპირისკენ ისინი კვდებიან. კანიდან ამოზრდილი თმის ღერი უკვე მკვდარია. გარქოვანებული ძაფები დამცავი შრით- კუტიკულათი არის გარემოცული. მისი რქოვანი ქერცლები კრამიტს მოგვაგონებს. ჯანმრთელი თმის ქერცლები მჭიდროდ ეკვრის ერთმანეთს, ამ შრის ქვეშ კი იმყოფება სალებავი ნივთიერების, მელანინის ნაწილაკები, სწორედ მის სახეობასა და რაოდენობაზე არის დამოკიდებული თითოეული ჩვენგანის თმის ფერი. თმის ღერი თავზე საშუალოდ ოთხ წელს ძლებს, მერე კი ვარდება. სამთვიანი შესვენების შემდეგ თმის ბოლქვი კვლავ იწყებს მუშაობას, ისე, რომ თავის ბანვის დროს ჩამოცვენილი თმის დიდი რაოდენობა ნუ შეგაშფოთებთ. ამგვარი ბუნებრივი „ბალნის ცვენისას" თითოეული ჩვენგანი დღეში 40-დან 100 ღერ თმას კარგავს და მიუხედავად ამისა, თითოეულს თავის ზედაპირის ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე 500-მდე თმის ღერი გვეზრდება.

## თმების გეომეტრია



სწორი



დატალღული



ხუჭუჭი

თმის ტიპი მათი განივი კვეთის მოყვანილობაზეა დამოკიდებული. სწორ თმებს მრგვალი კვეთა აქვს, დატალღულს — ოვალური, ხვეულ, ხუჭუჭა თმებს კი კვეთა ფორთოხლის ლებანს მიუგავს. ქერათმიანი, შავთმიანი და წითურთმიანი ადამიანები მარტო თმის ფერით როდი განსხვავდებიან ერთმანეთისგან. წითურებს თავზე სულ რაღაც 90 ათასი თმის ღერი აქვთ, ყველაზე უხვთმიანები კი ქერა ადამიანები არიან (150 ათასი, თუმცა თმის ღერი მათ ბევრად უფრო წვრილი აქვთ, ვიდრე წითურებს), შავთმიანებს თავისი 150 ათასიანი „ფაფარით" ამ ორ ტიპს შუა უკავიათ ადგილი.

ცხადია, ადამიანი გამუდმებით უნდა ზრუნავდეს თმის სისუფთავეზე, მაგრამ თურმე თმის მეტისმეტად ხშირ ბანვას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს, ისევე როგორც მზეს და უხეშ ვარცხნილობას, რომ აღარაფერი ვთქვათ ქიმიურ დახვევაზე. ამ დროს თმა ბზინვარებას კარგავს, მქისე ხდება და ჩალას ემსგავსება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უნდა გაგაოცოთ



## სამკურნალო სათვალე ძაღლებისათვის

არ იფიქროთ, თითქოს ეს „ძაღლი მოდას აჰყვა“ და იმიტომ უკეთია მზის სათვალე. სულაც არა! როგორც ირკვევა, ძალიან ბევრ ძაღლს აწუხებს თვალის კატარაქტა და სწორედ მათთვის არის განკუთვნილი სამკურნალო სათვალე „დოგლზ“. ოთხფეხა პაციენტს ჯერ ვეტერინარი სინჯავს, მხედველობას უმოწმებს და შესაფერის სათვალესაც ურჩევს.

## კატების თავშესაფარი ბარჟაზე



ამსტერდამის მრავალრიცხოვან არხებზე ნავმისადგომებთან მდგარი საცხოვრებელი ნავები ნიდერლანდების დედაქალაქის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა. ასეთი „ბინის“ მფლობელები შეძლებული ადამიანები არიან, რომლებსაც ახლახან ოთხფეხა მეზობლები გაუჩნდნენ. ერთ-ერთ ბარჟაზე გაიხსნა კატების თავშესაფარი, რომელიც მაშინვე გახდა ისეთივე ღირსშესანიშნაობა, როგორც ვან გოგის მუზეუმი, გოდების კოშკი ან წითელი უბანია.

## ყველაზე მყრალი და ყველაზე მაღალი ყვავილი



ახლახან ავსტრალიის ბოტანიკურ ბაღში გაიშალა ერთ-ერთი უიშვიათესი ყვავილი, რომელსაც გვამის ყვავილი ჰქვია. გარდა იმისა, რომ დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ყვავილია (მისი სიმაღლე 3 მეტრს აღწევს), გვამის ყვავილი ყველაზე მყრალიც არის. წარმოიდგინეთ, ერთმანეთში არეული დაუბანელი ფეხებისა და გახრწნილი თევზის სუნი და მიხვდებით, რაოდენ მყრალია ბუნების ეს საოცრება. ღამე ყვავილი თბება და სწორედ მაშინ გამოსცემს წარმოუდგენლად მყრალ სუნს, რომელიც ბევრ სხვადასხვანაირ მწერს იზიდავს.

## წყალზე სარბენი „თხილამურები“

ამერიკის ქალაქ სან-დიეგოში ყოველწლიურად ტარდება შეჯიბრება წყალზე სიარულში, ოღონდ შეჯიბრებაში სპორტსმენები კი არ მონაწილეობენ, არამედ წყალზე სასიარულო „თხილამურების“ გამომგონებლები. ეს ფეხზე წამოსაცმელი „თხილამურები“ ქაფპენოპოლისტრონისგან არის დამზადებული, ქვეშ მათ წყალქვეშა ფრთები აქვს მიმაგრებული. უკუბიძგის დროს „თხილამურები“ თვითონ იღებს ვერტიკალურ მდგომარეობას და წყალზე „მაგრდება“, წინისკენ მოძრაობისას კი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადადის და ხელს არ უშლის „მოთხილამურეს“ წყლის ზედაპირზე ისრიალოს.



ნახევრადსახუმარო ტესტი

# მითხარი, რომელი ნაყინი გიყვარს და გეტყვი, როგორი ადამიანი ხარ



## შოკოლადის

შოკოლადი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ბედნიერების შეგრძნებას იწვევს და ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას. შოკოლადის კანფეტების რუქება სიყვარულისა და მეგობრობის ნიშანია.

თუ შოკოლადის ნაყინი გიყვარს... შენ მიზანსწრაფული და მოწესრიგებული ადამიანი ხარ, გიყვარს ყველაფრის გააზრება. ბედნიერი ადამიანი ხარ და მეგობრებიც გაფასებენ.

## მარწყვის

მარწყვი საადრეო ხილია და ერთ-ერთი პირველი მწიფს, ეს გემრიელი და სასარგებლო ხილი თითქმის ყველა თქვენგანს უყვარს.

თუ მარწყვის ნაყინი გიყვარს...

არასდროს იგვიანებ, ყველაფერს სწრაფად აკეთებ. დიდი სამეგობრო წრე გაქვს, შეგიძლია გასაგებად გამოხატო შენი აზრები და გრძნობები.

## ბანანის

ბანანი ენერგიის საუკეთესო წყაროა. მასში უხვად არის კუნთებისთვის ძალზე სასარგებლო კალიუმი.

თუ ბანანის ნაყინი გიყვარს, შენ სპორტული, საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანი ხარ და ყოველთვის მზად ხარ მეგობრების დასახმარებლად. შენ მხოლოდ გარეგნულად ხარ აღელვებული, სული კი ფაქიზი გაქვს.

## ვანილის

ვანილის სამშობლო სამხრეთ ამერიკის ტროპიკებია, თუმცა ის ინდონეზიაშიც იზრდება, შრი-ლანკაშიც და მადაგასკარშიც.

თუ ვანილის ნაყინი გიყვარს... შენ მოგზაურობის მოყვარული ხარ, გიყვარს სიახლეები, გულისხმიერი და სასიამოვნო ადამიანი ხარ, ყველას უყვარხარ.

თუ ყველაფერი, რაც აქ წერია შენზე ზედგამოჭრილი არ არის, ნუ გაიკვირვებ, ტესტი ხომ ნახევრადხუმრობაა.

## ნიგვზის

ნუშის, მიწის თხილის, ფსტის... ნიგოზი შეიცავს ძვლის ზრდისთვის აუცილებელ რკინას და კალციუმს. გარდა ამისა, ნიგოზში ბევრია გულის გასამაგრებელი და იმუნიტეტის გამაძლიერებელი ვიტამინი და სასარგებლო ნივთიერება.

თუ ნიგვზიანი ნაყინი გიყვარს, შენ... მთელი გულით მხიარულობ ხოლმე და ამისთვის ბევრს უყვარხარ. მაგრამ შენ შეგიძლია სერიოზულიც იყო და მოწესრიგებულიც.

## შოკოლადის ნაფხვენიანი

შოკოლადის ნაფხვენი შეიცავს ანტიოქსიდანტებს, რომლებიც ძალას მატებს და სნეულებების დამარცხებაში ეხმარება ადამიანს. თუ შოკოლადის ნაფხვენიანი ნაყინი გიყვარს... შენ ენერგიული, მებრძოლი თვისებების ადამიანი, დაბადებით ლიდერი ხარ, მაღალ მიზნებს ისახავ და გამარჯვებაც ძალგიძს, ყოველთვის ფორმაში ხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს ჩვენ გიამბობთ... ფულზე

1554 წელს საფრანგეთში გამოცემულ ერთ-ერთ წიგნში ნათქვამია, რომ ფული ადამმა გამოიგონა და მონეტის აღწერილობაც არის მოყვანილი. მაგრამ, ცხადია, ეს ხუმრობაა. სინამდვილეში ფულის ასაკი დაახლოებით 10 ათასი წლით განისაზღვრება. ფულის წარმოშობისა და განვითარების ისტორია იმაზე მეტყველებს, რომ ღირებულების ისეთი საზომი, როგორიცაა საქონელი, ჯერ კიდევ ბარბაროსთა პერიოდში იყო ცნობილი. ფულის ლითონისაგან დამზადება ცივილიზაციის დამდეგიდან დაიწყო, თუმცა ახალი ჰებრიდების ერთ-ერთ კუნძულზე ღირებულების საზომად დღესაც ღორებია მიღებული. გაგიკვირდათ? იქნებ გაგეცინათ კიდეც? არადა, ნამდვილად ასეა! უფრო მეტად გაგაკვირვებთ — პაპუაში (ახალი გვინეა) და დულიზის პატარა მარჯნის კუნძულზე (წყნარი ოკეანე) ხურდა ფულად დღემდე ნიჟარებია მიღებული. მაგრამ ცხადია, ეს უმალ კაცობრიობის განვითარების ისტორიის პარადოქსებია, მთლიანობაში კი საქონელიც და ფულიც პირველყოფილი თემების ურთიერთშეხების საზღვარზე იშვა, ჯერ აღებ-მიცემობის, გაცვლა-გამოცვლის სახით, სადაც ფული მხოლოდ ღირებულების საზომის როლს ასრულებდა. მოგვიანებით მან თემების შუაგულში შეაღწია და მათზე და მათ პირველყოფილ წყობილებაზეც გამხრწნელი ზემოქმედება მოახდინა. ამიტომაც წარმოადგენს ფულის განვითარების ისტორია წარმოშობისა და მის დამახასიათებელ აღებ-მიცემობის ფორმათა განვითარების ისტორიას.

ახლა ვნახოთ, როგორ არის განმარტებული მცნება „ფული“ ლექსიკონში — ღირებულების ნომინალური ნიშანი, რომელსაც სახელმწიფო უშვებს თავისი ხარჯის დასაფარავად და აქვს იძულებითი კურსი. ფული ღირებულების საყოველთაო ეკვივალენტია.

გაცვლის და ღირებულების ფორმათა განვითარებამ გამოიწვია საქონელთა სამყაროდან ერთი საქონლის გამოყოფა საყოველთაო ეკვივალენტის როლში, რომლის მიმართ ყველა სხვა საქონელი ღირებულების შეფარდებით ფორმაშია.

ის თუ, სახელდობრ რომელი საქონელი იქცეოდა ფულად, დამოკიდებული იყო დროის და ადგილის კონკრეტულ პირობებზე. უფრო ხშირად ეს იყო საქონელი (ძროხა, ცხვარი, და ა.შ.) ბეწვეული, ტყავი, მარცვლეული, ღვინო, ზეთი, ზოგჯერ კი თავად ადამიანიც მონის სახით. სხვათა შორის, ტყავი და ბეწვეული არც თუ დიდი ხნის წინაც, ჯეკ ლონდონის გმირების დროს, ასრულებდა ფულის როლს. მონღოლეთში ფულის მაგივრობას ხბოს სისხლით გაჟღენთილი „აგურა“ ჩაი სწევდა (დაწნეხილი და ღუმელში გამომწვარი ჩაისა და ზოგიერთი ველური მცენარის ფოთლების ნარევი); მალდივისა და ლაკადივის კუნძულებზე კი ყაური, ძალზე ლამაზი ნიჟარა ითვლებოდა ფულად. სხვათა შორის, ეს გველის თავის მოყვანილობის ნიჟარა-ფული მალე ინდოეთში, ცეილონის, სიამის კუნძულზე და აფრიკაშიც გავრცელდა. ის კი არა, მას უძველესი ნინევიის, გერმანიის, ინგლისის, შვეციისა და საფრანგეთის სამარხებშიც პოულობდნენ. გადიოდა ათასობით წელი, ჩვენი დღევანდელი გაგებით უბრალო ნიჟარა კი კვლავაც მეფობდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ბაზარზე. ყაურად ნებისმიერი საქონლის ყიდვა შეიძლებოდა, თქვენ წარმოიდგინეთ, ახალგაზრდა მონა ქალისაც კი.



ჩრდილო ამერიკის ინდიელებს თავიანთი ფული გააჩნდათ — ტყავის ქამარი ვამპუმი, რომელსაც ზედ ცილინდრული მოყვანილობის ნიჟარებს აკერებდნენ.

სხვათა შორის, თურმე ნიჟარებს ჭკუის სასწავლებელი ამბავი შეუმთხვევიათ კალიგულასათვის, რომის თავნება, ხარბი, ფუფუნების უზომოდ მოყვარული იმპერატორისათვის. როცა მას საბოლოოდ გაუკოტრებია სახელმწიფო ხაზინა, უბრძანებია, ზღვის პირზე ჩვეულებრივი ნიჟარები შეეგროვებინათ და ფულად გამოუცხადებია ისინი, მაგრამ კალიგულასეულ „ფულს“ გასავალი არა ჰქონია, ხალხს არ მიუღია ღირებულების ეს საზომი და იმპერატორის წამოწყება კრახით დამთავრებულა.

სამაგიეროდ, თურმე ყაურის სამშობლოს, ლაკადივის კუნძულის, დედოფალი წარმატებით იყენებდა ნიჟარებს ფულის როლში: როგორც კი მისი ხაზინა დაცარიელდებოდა, დედოფალი ქვეშევრდომებს ზღვაში ქოქოსის პალმის ტოტებს აყრევინებდა, მოკლე დროში ტოტებს ყაურის ნიჟარის მატარებელი უამრავი მოლუსკი ეკვროდა. მოლუსკებს აგროვებდნენ, აშრობდნენ და „ფულიც“ მზად იყო მიმოქცევაში გასაშვებად.

კაროლინის კუნძულზე ფულად წისქვილის დოლაბების ტოლი ქვები იყო მიღებული, ხურდა ფულად კი კენჭებს ხმარობდნენ. ახალ-ჰებრიდის კუნძულებზე ღირებულების საზომად შებოლილი ჭილოფი იყო აღიარებული...

ერთი სიტყვით, სხვადასხვა ქვეყანაში ფულის როლს ასრულებდა ძაღლის კბილები, ადამიანებისა და ცხოველების თავის ქალები, წიწაკა, ნამჯა, ნიჩბები, ბამბა, ქსოვილი, თამბაქოს ფოთოლი...

მაშინაც კი, როცა ადამიანებმა ლითონის ფულის მოჭრა დაიწყეს, მონეტებს ინერციით კიდევ კარგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანს აძლევდნენ სხვადასხვა საგნების ფორმას. მაგალითად, ჩინეთში მიმოქცევაში იყო კვართის, იმდროინდელი სამოსის ფორმის ლითონის ნაჭრები.

სიასამურის ბეწვი დიახაც რომ ძვირფასი რამ არის, მაგრამ ბეწვიც არის და ბეწვიც: ზოგი დიდია, ზოგი პატარა, ზოგი ფაფუკია, ზოგი გაქუცული, ერთი ამ ფერისა, მეორე სხვა ფერის, მაშასადამე, მათი ღირებულებაც სხვადასხვაა.

არც სულ ერთნაირი ქვები და ნიჟარები არსებობს. ძროხები, ხარები, თუ ცხვრებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თანაც ეს ვერც მთლად მოხერხებული ფულია, თუ ბაზარში მიდიხარ, რამდენიმე ხარ-ძროხა, ცხვარი, ზოგჯერ კი მთელი ფარა უნდა გაიგდო წინ. გზაში ხომ უნდა აჭამო, ესე იგი, მათი საჭმელიც უნდა ათრიო თან. ამასობაში, შეიძლება თითო-ოროლა მათგანი გზაში დაეცეს, მაშასადამე, ზარალიც გარდაუვალია. ვთქვათ, მხოლოდნახევარი ხარის ღირებულების საქონლის ყიდვა გინდა, რა უნდა ქნა? ბარკლებს ხომ არ ჩამოაჭრი ძროხა იქნება თუ ხარი? ნაწილებად დამტვრეული ქვა და ნიჟარა ხომ საერთოდ აღარაფრად ვარგა...

დედამიწის მოსახლეობა მატულობდა. გაჩნდა ქალაქები. ქალაქელ ადამიანს კი საერთოდ არ სჭირდება საქონელი — ხარი, ძროხა, ცხვარი და ა.შ. რა თავში იხლის, რად უნდა? აღარც მეთუნეები, მჭედლები, დურგლები, ფეიქრები, თუ მებაღეები იღებდნენ საკუთარ ნახელავში შინაურ ცხოველს. ფულის ამგვარმა სახეობამ დრო მოჭამა. ადამიანი მიხვდა ამას და ისეთი საქონლის ძიებას შეუდგა, უფრო სრულყოფილ ფულად რომ ივარგებდა. დიდხანს ეძებდა კაცობრიობა ასეთ საქონელს და ბოლოს მიაგნო.

ისეთი საყოველთაო ეკვივალენტის როლი, რომლის მიმართ ყველა სხვა საქონელი ღირებულების შეფარდებით ფორმაშია, ისტორიულად ოქრომ და ვერცხლმა დაისაკუთრა. რატომ მაინცდამაინც ამ ორმა ლითონმა?

იმიტომ, რომ მათ შესწევთ უნარი გამოხატონ წმინდა რაოდენობრივი განსხვავებანი. კაცობრიობა უძველესი დროიდან იცნობდა ოქროს. ის ყოველთვის იზიდავდა ადამიანებს. თავიდან ამ ბრჭყვიალა ყვითელ ლითონს სამკაულად იყენებდნენ, მერე და მერე კი იგი ფულად საქონლად იქცა.

ოქრო კეთილშობილი ლითონია. ასე კი მას იმიტომ უწოდეს, რომ ბუნებაში იგი წმინდა სახით, ქიმიური მინარევების გარეშე არსებობს. მასზე არც ნესტი მოქმედებს, და არც მჟავათა უმრავლესობა. იგი ადვილად გარდაიქმნება მონეტის ფორმიდან ზოდის ფორმად, ზოდის ფორმიდან ფუფუნების საგნად და პირიქით. ადვილად იჭედება, დნება, საუცხოოდ იხეხება. ოქროს მოპოვება ძალზე შრომატევადი საქმეა, მისი მიგნება, სხვა მინერალური ქანებისაგან მისი გამოყოფა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამიტომაც გააჩნია ოქროს უმცირეს ნატეხს ძალზე მაღალი ღირებულება — მაგალითად, დოლარი ოფიციალურად 0.818813 გ წმინდა ოქროს შეიცავს.

ამ თვისებების მეოხებით ოქრომ გამოდევნა ყველა სხვა ლითონი, თუმცა იყო დრო, როცა ზოგ ქვეყანაში ვერცხლი ოქროზე მეტად ფასობდა. ოქრო მთავარ ფულად ლითონად იქცა და მთელი მსოფლიო დაიპყრო. ადამიანებმა „ოქროსა“ და „ფულის“ მცნებები ერთხელ და სამუდამოდ გააიგივეს.

თავდაპირველად ოქროს ფული ზოდების, მერე კი ბეჭდების სახით არსებობდა. ზოგ ქვეყანაში ოქროს ფულს მოკლე წკნელების, მავთულის, ფირფიტების ფორმა ჰქონდა. მექსიკაში კი ფულს ოქროს ქვიშით სავსე ფრინველის ბუმბულის ღეროები წარმოადგენდა. გამოხდა ხანი და ადამიანებმა ფულის წონით თვლა ისწავლეს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ზოგიერთ ქვეყანაში დღემდე არსებული ფულადი ერთეული. ინგლისური გირვანქა სტერლინგიც, ფრანგული ლივრიც, გერმანული მარკაც ყოფილი წონის ერთეულებია. ფულის თვლის ეს საშუალება უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ მას თავისი ნაკლოვანებებიც ჰქონდა. მაგალითად, ბაზარში რომ მიდიოდა, ზოგიერთი ქვეყნის, ვთქვათ, ბირმის მკვიდრს თან მიჰქონდა ვერცხლის ნატეხი, ჩაქუჩი, საჭრელი, სასწორი და საწონები. საჭირო საქონელს რომ მიაგნებდა და გამყიდველსაც მოურიგდებოდა, მყიდველი ვერცხლის ნატეხს გრდემლზე ჭრიდა. მოჭრილ ნატეხს წონიდნენ, თუ ცოტა იყო, უმატებდნენ, თუ მეტი იყო, კიდევ ჩამოჭრიდნენ და ა.შ. საჭირო წონის მიღებამდე. მოგვიანებით დაიწყეს გარკვეული, ოღონდ სხვადსხვა წონის ლითონის ნატეხების წინასწარ დაჭრა-დამზადება, რამაც მოხსნა ჩაქუჩისა და საჭრეთელის საჭიროება. ახლა წონის შემოწმებაც კმაროდა. გადიოდა დრო, სასწორი კი კვლავაც ვაჭრობის აუცილებელ ატრიბუტად რჩებოდა. მაგრამ, ერთხელაც, ვიღაცას მოაფიქრდა, ფულზე საკუთარი დამღა, სინჯი აღენიშნა და ამით წონის სისწორე და ლითონის სიწმინდე დაედასტურებინა. ასე გაჩნდა დამღიანი ფული-მონეტები, თუმცა, მონეტა ფულს ბევრად უფრო გვიან ეწოდა.

„მონეტა“ ლათინური სიტყვაა და აღნიშნავს სხვადასხვა ლითონებისგან მოჭრილ ფულს, რომელსაც გააჩნია თავისი განსაზღვრული ფორმა, წონა, სინჯი და ღირებულება. თავდაპირველად სიტყვა „მონეტა“ ძველ რომაელთა ქალღმერთ იუნონას ერთ-ერთი ეპითეტი იყო და დამრიგებელს ნიშნავდა. ძველ რომაელებს სწამდათ, რომ ყველა მფარველი ღვთაება ცისა და მიწის ღმერთს იუპიტერსა და მის ცოლს იუნონა მონეტას ემორჩილებოდა. მათზე იყო დამოკიდებული ადამიანთა კეთილდღეობა და ამიტომ, მათ მოწყალე დამოკიდებულების დასამსახურებლად ყველა ცდილობდა ეამებინა მათთვის. დედაქალაქის ყველაზე მაღალ ადგილზე, კაპიტოლიუმის ბორცვზე იუნონა მონეტას საპატივცემულოდ აგებულ დიდებულ ტაძარში ყოველთვის უხვად მიჰქონდათ ძღვენი, მაგრამ, ყველაზე დიდებული ძღვენი ქალღმერთმა იუნონამ მაინც რომაელთა მიერ პიროსის დამარცხების შემდეგ მიიღო. გამარჯვებით აღტყინებულმა რომაელებმა იუნონას ტაძარს შესწირეს დიდძალი ნადავლი-ოქრო, პატიოსანი ქვები, ძვირფასი ქსოვილები, ცხოველები. მის საპატივცემულოდ თხზავდნენ ლექსებს, აქანდაკებდნენ საუცხოო სტატუებს. ბოლოს კი მიიღეს კანონი იმის შესახებ, რომ ამიერიდან ლითონის ფული მხოლოდ იუნონა მონეტას ტაძრის ზარაფხანაში მოჭრილიყო. პირველი მონეტები უბრალოდ უხეში, გაურკვეველი ფორმის ლითონის პა-

ტარ-პატარა ზოდებს წარმოადგენდა. ამ გარემოებით სარგებლობდნენ თაღლითები, რომლებიც მონეტებს პატარ-პატარა ნაჭრებს აჭრიდნენ და ახალ ზოდად ასხამდნენ. ამგვარი ყალთაბანდობის თავიდან ასაცილებლად გადაწყდა მონეტებისთვის გარკვეული ფორმა მიეცათ და ნახატებით და წარწერებით დაეფარათ ისინი, წიბოებზე კი დაკბილული ნაჭდევები გაეკეთებინათ. ასეთ ფულს ყოველგვარი დაზიანება ადვილად დაემჩნეოდა. უძველეს ნაჭედ რომაულ მონეტად სერვიუს ტულიუსის დროს დამზადებული სპილენძის ასი ითვლება. ვერცხლის მონეტის გამოჭედვა რომაელებმა ძვ.წ. 269 წლიდან დაიწყეს, ოქროს მონეტისა — ნახევარი საუკუნით გვიან. ფულის ძრითადი ერთეული კი დინარი იყო. ჩვ.წ. IV საუკუნეში გაჩნდა სოლიდები. სოლიდიდან მოდის სხვა ქვეყნების ფულის ერთეულების სახელწოდებაც: იტალიური სოლდო, ფრანგული სუ, ინგლისური შილინგი და სხვა.



საერთოდ კი, მონეტის სამშობლოდ ლიდიაა მიჩნეული. პირველმა სწორედ მცირე აზიის ამ პატარა სახელმწიფომ დაიწყო მონეტების ემისია (წარმოება) ძვ.წ. VII საუკუნეში. ისტორიაში პირველ მონეტებს ელექტრუმის — ოქროსა და ვერცხლის ბუნებრივი შენადნობისგან ამზადებდნენ. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ლიდიელთა მაგალითს ბერძნულმა ქალაქმა ეგინამაც მიბაძა, რომელმაც ვერცხლის მონეტების მოჭრა დაიწყო. ახალი დროის ოქროს მონეტის დაბადების წლად მიჩნეულია 1252 წელი, როცა ფლორენციაში დაიწყო ფლორინის მოჭრა, რომელიც 3,5 გრამამდე ოქროს შეიცავდა. XIII საუკუნეში ოქროს ასეთივე შემცველობის მონეტის მოჭრა დაიწყეს გენუასა და ვენეციაში. განსაკუთრებით გაითქვა სახელი ვენეციურმა ცეხინმა, ანუ დუკატმა. ამ სახელწოდებით ჭრიდა მონეტებს ბევრი სახელმწიფო. ოქროს ამგვარი შემცველობის მონეტას გერმანიასა და ნიდერლანდებში გულდენს უწოდებდნენ. ფრანგული ლუიოდორის მოჭრა 1640 წელს დაიწყო, გინეა კი 1661 წელს მოჭრეს ლუიდორის ნიმუშის მიხედვით. ორივე ამ მონეტაში ოქროს შემცველობა 6,5 გრამის ფარგლებში მერყეობდა. ესპანეთის მთავარი მონეტა XVI-XVII საუკუნეებში დუბლონი იყო, რომელსაც გარდა ამისა, „ორმაგი ესკუდოც“ ერქვა და „პისტოლიც“. იგი 6,2 გ. ოქროს შეიცავდა. ეს მონეტა საფრანგეთშიც იყო მიმოქცევაში. ხომ გახსოვთ, ლონდონში, საფრანგეთის დედოფლის ღირსების გადასარჩენად რომ მიდიოდა, დარტანიანს ჩანთაში სამასი პისტოლი ჰქონდა. ასეთი ჩანთა კი ალბათ დაახლოებით ორ კილოგრამს იწონიდა. 20 დოლარის ნომინალის ამერიკული ოქროს მონეტა (ე.წ. „ორმაგი არწივი“) 30,093 გრამ ოქროს შეიცავდა. ახალი დროის ყველაზე მძიმე მონეტა კი მექსიკური „სენტენარიო“ (50 პესო) იყო, იგი 37,494 გრამ ოქროს შეიცავდა.

საქართველოში მონეტის მოჭრა ძვ. წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან დაიწყო და სისტემატურად გრძელდებოდა 1834 წლამდე. იჭრებოდა „ქართული თეთრი“ (ვერცხლის), „კოლხური თეთრი“, „ქართული ფული“ (სპილენძის). დროთა განმავლობაში მონეტა იცვლიდა სახეს, ფორმას, იცვლებოდა მასალა, სინჯი, მოჭრის წესი და სხვ. დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული ფულად-სამონეტო საქმის რეფორმის შედეგად ვერცხლი სპილენძის მონეტამ შეცვალა. ვახტანგ VI-ის კანონთა კრებული შეიცავდა „თეთრის გარიგების“ სპეციალურ კარს, რომელიც ფულის მოჭრის პროცედურასა და წესს ითვალისწინებდა. მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა ამ სფეროში ერეკლე მეორემაც.

რეფორმამდელ პერიოდში ანუ ფეოდალიზმის დაშლისა და მის წიაღში კაპიტალისტური წარმოების წესის წარმოშობისათვის პირობების მომზადების წლებში საქართველოში მიმოქცევაში მრავალგვარი მონეტა იყო. ტრიალებდა უკანასკნელი ქართველი მეფეების დროინდელი ვერცხლისა და სპილენძის ფული, განჯის, შირვანის, შეკინის სახანოების ძველი, ირანის, თურქეთის ფული, რუსეთთან შეერთების შემდეგ თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი რუსულ-ქართული, რუსული ოქროს, ვერცხლის, პლატინის, სპილენძის მონეტები და სხვა. XVIII საუკუნის ქართული ჭედის მონეტებს წარმოადგენდა ვერცხლის აბაზიანი (ორი უზალთუნი), უზალთუნი (ნახევარი აბაზი), შაურიანი (2,5 ბისტი). გიორგი XII-ის შემდეგ ქართული ფული დავით ბატონიშვილმა მოჭრა, მაგრამ თავისი სახელის წარწერა ვერ მოახერხა. 1804 წლიდან თბილისში უკვე ქართულ-რუსულ წარწერიანი ფული იჭრებოდა — ვერცხლის მანეთი, ვერცხლის ორაბაზიანი, აბაზიანები, ნახევარაბაზიანები, სპილენძის გროშები, კაპიკიანები და ნახევარკაპიკიანები... ქაღალდის ფული საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ გავრცელდა.

მონეტას ორი მხარე აქვს — შუბლი (ავერსი) და ზურგი (რევერსი), მონეტაზე მითითებულ ამა თუ იმ, სახელმწიფოს ან კლასის, იდეოლოგიის გამომხატველ ზედწერილებს სამონეტო ტიპი ეწოდება. მისი საშუალებით საცნაური ხდება მონეტის მოჭრის დრო, ადგილი და ნომინალი. ყოველი სახელმწიფო სამონეტო ერთეულად ასახელებს განსაზღვრული რაოდენობის, წონის ლითონს და განსაკუთრებულ სახელწოდებას აძლევს მას: დრაქმა, დირჰემი, ფრანკი, ტალერი, აბაზი, სტატერი, თანგა და სხვ. მონეტის შემადგენლობაში შემავალი კეთილშობილი ლითონის ნაწილს სინჯი ეწოდება. მონეტის მოჭრის მონოპოლური უფლება სახელმწიფოს ეკუთვნის.

მას შემდეგ, რაც ხმარებაში ქაღალდის ფული შემოვიდა, მონეტის, როგორც გადახდის საშუალების როლი ძალიან შემცირდა. ოქროსა და ვერცხლის მონეტებს დღეს იშვიათად უშვებენ და მათ სერიოზული ეკონომიკური მნიშვნელობა არ გააჩნია.

# პირველი, სულ პირველი

* * *

სილამაზის პირველი კონკურსი გაიმართა 1888 წლის 19 სექტემბერს, ბელგიის ქალაქ სპაში.

350 მონაწილიდან კონკურსში 18 წლის კრეოლმა ქალიშვილმა ბერტა სუკარემ გაიმარჯვა.

* * *

1747 წელს ფრანგმა ინჟინერმა ფრანსუა ფრენომ თავისი ძველი პალტო კაუჩუკის ხის წვენით გაჟღინთა და მსოფლიოში პირველმა ჩაიცვა წყალგაუმტარი საწვიმარი სამოსი.

* * *

ინგლისელი უილიამ ჰესკისონი პირველი ადამიანი იყო, რომელიც რკინიგზის მსხვერპლი გახდა.

კატასტროფაში დაღუპულ უილიამ ჰესკისონს ლონდონში ძეგლი დაუდგეს.

* * *

ამერიკელმა ექიმმა ჯორჯ ტომას მორტონმა მსოფლიოში პირველმა გაბედა გაეკეთებინა ბრმანაწლავის ოპერაცია.

1887 წლის 27 აპრილს მან ოპერაცია გაუკეთა 26 წლის კაცს და თითქმის გარდაუვალ დაღუპვას გადაარჩინა იგი.

* * *

1868 წლის 10 დეკემბერს ლონდონში, პარლამენტის შენობის წინ დადგეს მსოფლიოში პირველი შუქნიშანი, რომელიც გაზის ლამპით მუშაობდა.

სამი კვირის შემდეგ შუქნიშანი აფეთქდა და მძიმედ დააშავა მორიგე პოლიციელი.

* * *

პირველი კროსვორდი შეადგინა ლივერპულის მცხოვრებმა ვინმე არტურ უინმა.

მისი პირველი კროსვორდი გაზეთში გამოქვეყნდა 1913 წლის 21 დეკემბერს.

* * *

პირველი 20 ათასი სიგარეტი, რომლებიც გასაყიდად იყო გამიზნული, 1843 წელს გამოუშვეს საფრანგეთში.

1853 წელს კუბაში მასიურად დაიწყეს სიგარეტების გამოშვება.

* * *

1924 წლის 21 სექტემბერს გაიხსნა მსოფლიოში პირველი ავტოსტრადა, რომელმაც შეაერთა იტალიის ქალაქები მილანი და ვარეზე.

50 კილომეტრიანი ავტოსტრადა საზეიმოდ გახსნა იტალიის მეფემ ვიქტორ ემანუილ III.

* * *

ქაღალდის პირველი შპალერი დაამზადეს 1620 წელს, საფრანგეთის ქალაქ რუანში.

* * *

მსოფლიოში პირველი ავტომატი — გამყიდველი მუშაობდა ეგვიპტეში (50 წელი ძვ.წელთაღრიცხვით). საგანგებო მოწყობილობა, რომელიც ქალაქ ალექსანდრიის ქუჩაში იყო დადგმული, ფულის ჩაყრისთანავე წყალს აწვდიდა გამვლელებს.

* * *

მსოფლიოში პირველი საავტომობილო ქარხანა აგებული იქნა საფრანგეთში 1889 წელს. 1896 წლიდან საავტომობილო მშენებლობა განვითარებას იწყებს აშშ-ში. ამერიკაში 1898 წელს გამოშვებულ იქნა მხოლოდ 4 ავტომობილი, ხოლო 1925 წელს მათმა რიცხვმა იმ დროისათვის სარეკორდო ციფრს — 4 მლნ-ს მიაღწია. 1908 წელს მსოფლიოში იყო დაახლოებით 290 ათასი ავტომობილი. 50 წლის შემდეგ კი მათმა რიცხვმა 110 მლნ-ს მიაღწია.

* * *

ფორდის მარკის პირველი ავტომობილი თბილისში 1905 წელს გამოჩნდა და ის ეკუთვნოდა კავკასიის მეფისნაცვალს.

* * *

1951 წლის 18 აგვისტოს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კონვეირიდან ჩამოვიდა პირველი ქართული ავტომობილი. ქარხნის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1945 წელს, 1948 წელს კი საავტომობილო ქარხანამ დაიწყო ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების დამზადება.



სოსო ბაბულეიშვილი,
სკოლა-კომპლექსი „სადუნი“, IV კლასი



მარიტა მუმლაძე,
თბილისის 46-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი



სანდრო გორდეზიანი,
სკოლა-კომპლექსი „სადუნი“, III კლასი





ალექსი აგურაშვილი,
სკოლა „სარკმელი“, II კლასი



სანდრო ალხაზიშვილი,
IV კლასი

# სიცილის გაკვეთილი



* * *

— მამიკო, ერთ ლამაზ, ქერათმიან ქალს უნდა შენთან შეხვედრა.

— როდის და სად, შვილო?

— სკოლაში, ჩემს დამრიგებელს, მშობელთა კრებაზე.

* * *

დაწყებით კლასში მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:

— ბავშვებო, ვინ იცის ათამდე თვლა?

ყველამ ერთდროულად ასწია ხელი.

— კარგია! ათის შემდეგ?

ხელი პატარა ჟაკომ ასწია.

— ყოჩაღ, ჟაკო, აბა, გისმენთ!

— ათი, ვალეტი, ქალი, მეფე, ტუზი...

* * *

— სად დაიკარგე, ბიჭო, შენს ძებნაში სული დაგველია — უსაყვედურა დედამ გუსტავს, რომელიც სიამოვნებისა და კმაყოფილებისაგან სახეგაბადრული დაბრუნდა შინ.

— მაიერებთან ვიყავი.

— თავს ნუ მოაბეზრებ, მათ ახლა სტუმრები ჰყავთ და შენთვის არა სცალიათ.

— რას ამბობ, დედიკო! დამინახეს თუ არა, ერთხმად მომაძახეს: შენღა გვაკლდიო.

* * *

— რა არის კუნძული?

— წყლით შემოფარგლული ხმელეთი.

— კეთილი, ნახევარკუნძული რაღაა?

— კუნძულის ნახევარი.

* * *

— სკოლაში წასვლის წინ ხელებს არ ვიბან.

— რატომ?

— რა საჭიროა, მე ხომ გაკვეთილზე ხელს არასოდეს არ ვწევ.

* * *

— ჩემო ბიჭუნა, მინდა რაიმე საჩუქრით გაგახარო, მაგრამ წინასწარ შენს მასწავლებელს უნდა ვკითხო, როგორ სწავლობ, — უთხრა ოტოს სტუმრად მისულმა დეიდა ამალიამ.

— თუ მართლა ჩემი გახარება გინდა, სჯობს არა ჰკითხო, — მიუგო ოტომ.

* * *

— მამაჩემი სულ ადვილად სწევს დიდ ქვას, — დაიტრაბახა ბიჭმა.

— დიდ ამბავი, მამაჩემს სამი იმოდენა ქვის აწევა შეუძლია, — შეეცილა მეორე.

— მამაჩემი კი სულაც არ სწევს ქვას, მას მოადგილე ჰყავს, — ამაყად დასძინა მესამემ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინილო — ჭინილო



**თარაზულად:** 1. მგალობელი ფრინველი. 3. სპორტული თამაში. 5. გარეული ფრინველი. 8. საარტილერიო ქვეგანაყოფი, რომელსაც აქვს რამდენიმე ქვემეხი. 11. სასვენი ნიშანი. 12. მარადმწვანე წიწვოვანი ხე. 14. მომღერალთა გუნდი. 15. ტროპიკულ ამერიკაში გავრცელებული მახრჩობელა გველი. 16. თმის საღებავი. 17. იაპონური ფულის ერთეული. 18. აზიის ქვეყანა. 20. მტაცებელი ფრინველი. 21. ძვირფასი ქვა. 22. საქართველოს მდინარე. 26. თვალის ფერადი გარსი. 28. კავკასიონის მწვერვალი.

**შვეულად:** 2. გეომეტრიული სხეული. 3. ინდური ფულის ერთეული. 4. ლატვიის ქალაქი. 6. ძვირფასი ლითონი. 7. ე. ნინოშვილის „პალიასტომის ტბის“ პერსონაჟი. 8. დეკორატიული მცენარე. 9. სუბტროპიკული მცენარე. 10. ბალახოვანი ტროპიკული მცენარე. 11. მზის სისტემის პლანეტა. 13. გარეული ცხოველი. 19. წვრილფოთლოვანი მარადმწვანე მცენარე. 23. განათებულობის საზომი ერთეული. 24. ბოსტნეული მცენარე. 25. საბრძოლო იარაღი ძველად. 27. სპორტული პრიზი. 29. ფირნიში.



## იპოვეთ განსხვავებები



## შეაერთეთ ციფრები



# საქართველოს მომავალი

### ანა ჯერვალიძეს!

ჩემო დიდო სიხარულო და სიყვარულო,
ჩემო ანა!

ივნისის თვეში ორი დღესასწაული გაქვს — 1 ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, მეორე 11 ივნისი — შენი დაბადების დღე. უკვე 6 წლის ხდები. ორივე თარიღს ერთად გილოცავ, გისურვებ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ულევ სიხარულს და დღეგრძელობას! გაიზარდე ერის, ქვეყნის, ოჯახის საამაყო ადამიანი. ორი თვე მალე გავა და მოწიწებით, შენი პატარა ხელებით შეაღებ სკოლის კარს და ღრმად მწამს, რომ იქნები ბეჯითი და საამაყო მოსწავლე.

გლოცავ, გეხვევი, გკოცნი, გეფერები!

შენი საყვარელი ზინა ბებო.



ანა ჯერვალიძე



ნინო ელიავა



მარმარე მეუნარგია



აკაკი თორთლაძე



მერი და მარიამ სივსივაძეები



ჯან-ლუკა მარმიერი







თბილისის
ლუკან ცქიტიშვილის
სახელობის 46-ე
საშუალო სკოლა

# ჩვენი ვერნისაჟი



ოსმან ოსმანოვი
საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს საშუალო სკოლა, VIII კლასი



ნინო ტივაძე
სკოლა-კომპლექსი „საღუნი", IV კლასი

b24/26



სოფო გუმბარიძე
სკოლა-კომპლექსი „საღუნი", IV კლასი



ელენე ოდიკაძე
სკოლა-კომპლექსი „საღუნი", II კლასი



გვანცა ღვინიაშვილი
სკოლა-კომპლექსი „საღუნი" I კლასი



თამუნა ოქრუაშვილი
თბილისის წმ. გიორგის სახ. საერო სკოლა